შაბათი 1919 წ. აპრილის 5 № 76
წელიწადი მეხუთე

შაბათი 1919 წ. აპრილის 5 № 76
ფასი თბილისში პროვინციაში და რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კონტორა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირს—50 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 20 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტის პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

გულდაწყვეტილი მშობლები ნოე ნიკოლოზის ძე და ინა ივანეს ასული, ბებია ქრისტინე, და ასმათი ჟორდანიები აუწყებენ მეგობრებს, ნაცნობთ და ნათესავთ უდროოდ გარდაცვალებას საყვარელი ვაჟის

## ანდრეიკა ჟორდანიას

გამოსვენება მოხდება ბინიდან (ერმოლოვის ქ. № 9) შაბათს ოთხ საათზე ვოგზალზე, საიდანაც წაასვენებენ იმავე საღამოს ქ. ლანჩხუთში. დაკრძალვა ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაზე სამშაბათს, 8 აპრილს 12 საათზე.

(1—2271—1)

ორს აპრილს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### თავადი ალექსანდრე ივანეს ძე

## ჯამბაკურ-ორბელიანი

რასაც ულრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ მეუღლე მისი მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანისა. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს ნიკოლოზის ქ. № 66. გასვენება ბინიდან სიონის ტაძარში კვირას 6 აპრილს დილის 9 ნახ. ს.

3—2268—2

ალექსანდრა ილიას ასული მაჩაბლისა შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დაუვიწყარ ძვირფასს მეუღლის პირველისა და მეორეთა მამის ცხინვალში გმირულად დაღუპულის

## გიორგი ზაალის ძის მაჩაბლის

წლის წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კვირას, 6 აპრილს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება საფლავზე 1 საათზე.

2—2272—1

კვირას, 6 აპრილს, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება გარდაცვალებიდან ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

## პროფესორის იოსებ ყიფშიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: განსვენებულის მეუღლე ევგენია ყიფშიძისა, სიდედრი ნინო ეგაძისა, ცოლიდები: ნადეჟდა, ლიუბა, სოფიო და თამარ, ცოლისძმა მიხეილ ეგაძე და ქვისლები: ილია ფერაძე, დეკანოზი გიორგი გამრეკელი და სერგო გორგაძე. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ.

(1—2270—1)

დედა ეკატერინე ტატოს ასული, ძმა მარტინ დავითის ძე, რძლები მარიამი და ნინო ხალიფოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 6 აპრილს გადახდილი იქნება პანაშვიდი რომანოვსკაში ვერაგულად მოკლული

## წყალობ დავითის ძე ხალიფოვის

სულის მოსახსენებლად სომხის ჯიგრაშენის ეკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება წირვის შემდეგ მიცვალებულის გვამის რომანოვსკიდან ჩამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2—2274—1)

ღრმად დამწუხრებულნი და გულმოწყვეტილნი მღვდელი სოლომონ უსტიაშვილი, მელანია სტეფანეს ასული, ევგენი კონსტანტინეს ძე ნატალია და ანნა გიორგის ასულნი, სოფიო დიმიტრის ასული, პელაგია დავითის ასული, პირველისა შვილი, მეორისა ქმარი, მესამისა მამა, მეოთხისა და მეხუთისა დისწული, მეექვსისა ძმისწული და მეშვიდისა ბიძაშვილი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ უდროოდ გარდაიცვალა ნოვოჩერკასსკის მიწის მზომელთა რევიზორი

## კონსტანტინე სოლომონის ძე უსტიაშვილი.

დაკრძალვა მოხდება 6 აპრილს. სოფელ მამკოდაში ღვთის მშობლის ეკლესიის გალავანში (1—2275—1)

ღრმად დამწუხრებული ეკატერინე კვინიკაძისა შვილებითურთ აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დ. ცხინვალში გარდაიცვალა, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე და მეორეთა მამა

### ლაზარე ივანეს ძე

## კვინიკაძე

დაკრძალვა მოხდება 5 აპრილს დ. ცხინვალში.

## ახალი კლუბი

### შაბათს აპრილის 5

## გრანდიოზული საცრადიციო საღამო

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობისა.

## სპექტაკლი კონცერტი ბალი კაბარე

მონაწილეობენ ტფილისის ყველა საუკეთესო ძალები. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში და „ძმურ ნუგეშში“ 12—4 ს. და საღ. 6—7 ს. იქვე მიიღება მაგიდებზე ჩაწერა.

დასაწყისი საღამოს 8 ს.

დაწვრილებით აფიშებში.

საღამოს დიასახლისი ა. ქავთარაძისა.

სცენას ხელმძღვანელობს წუწუნავა.

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარდაცემულნი მშობლები ზაქარია იაკობის ძე და სოფიო ქრისტეფორის ასული ნიჟარაძენი შვილებითურთ: მარიამითა და დომენტით გულდაწყვეტილნი გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ და მოულოდნელად დაკარგვას წინწკლებიანი სახადით თავის მოვალეობის ასრულების გამო—პირველთა საყვარელ შვილისა და მეორეთა ძმისა რკინის გზის ექიმის

### დიმიტრი (ტიტო)

## ნიჟარაძისა

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე—ნაძალადევი ლოტკინის ქუჩა № 9. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 6 აპრილს, წმ. ნინოს სასაფლაოზე.

2—2273—1

## რესტორანი პარიზი რესტორანი

ქართულ კლუბის ქვეშ (სასახლის ქუჩა)

### სრულიად ახლა გადაკეთებული

### ცალკე მოწყობილ დარბაზებით

### გაიხსნა 14 მარტიდან

მზადდება ყოველ დღე საგანგებოთ: საუზმე, სადილი, ვახშამი აზიურ კერძებით.

საუცხოვო საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული

## საგანგებო ყავა-ხანა

### ფასები ზომიერია

საამხანაგო, საზეიმო სადილ-ვახშმები ფას-დაკლებით.
(მსახურთ პროცენტები მოსპობილია)

ღვინოები ყველა კუთხისა, ფირმისა და მარკისა.

25—32—16

პატივისცემით: ხ. გიგიბერია და ვარ. გვათუა.

## ლექტორის კურსები

მსახიობ

## ელო ანდრონიკაშვილისა

1 ლი აპრილიდან გაიხსნება ლექტორის კურსები მე-7-დე გიმნაზიის შენობაში (ყოფილი კადეტის კორპუსი) მისავალი ევანგულოვის ქუჩიდან სახელმწიფო თეატრის პირდაპირ. პირველი კარები.

ჩაწერა შეიძლება საღამოობით 5-დან 7 საათ.

25—39—10

კვირას, აპრილის 6-ს, გაზ. „საქართველო“-ს რედაქციაში, საღამოს 5 საათზე დანიშნულია

## ერ.-დემოკრ. ახალგაზრდათა საერთო კრება

ამ კრებაზე გაგრძელებული იქნება კამათი შესახებ წარსულ კვირას წაკითხულ მოხსენებისა: „ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა“.

## სახელმწიფო თეატრი

### საოპერო დასი ს. ი. ევლახიშვილისა

დღეს, 5 აპრილს, წარმოდგენილი იქნება

## ზაზა

6 აპრილს დილით „ფაუსტი“ საღამოთი „გეიშა“, 7 აპრილს „ევგენი ონეგინი“.

## ახალი კურსი

სახელმწიფოსა და თვითმართველობის სხვა და სხვა დაწესებულებაში საქართველოს სახელმწიფო ენას პრესტიჟი და სუვერენობა ეკარგება. მთელი ბრალი ამ ყოვლად შეუწყნარებელის ანტი სახელმწიფოებრივი მოვლენისა ედება ჩვენ მართველ წრეებს: სოც.-დემოკრ. მთავრობასა და სხვა და სხვა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციის ბატონობას. ცნობილია, რომ ეს ხალხი იმ თავითვე დიდს უგულობას და მერყეობას იჩენდა ცხოვრებაში ნაციონალიზაციის გასატარებლად. მათი ასეთი სულიერი ვითარება ცოცხალი ნაშთი იყო იმ ქაოტიურ ინტერნაციონალურ პსიხოლოგიისა, რომელიც ეროვნულ ერთეულების არსებობას ეჭვის თვალით უყურებდა და მათი ინდივიდური მოთხოვნილება-საჭიროების-არც შემოფარგვლაზე ფიქრობდა და არც დაცვაზე. ამის ძალით, არ იყო განსაკუთრებული მონდომება საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრების გაეროვნებისა. მხოლოდ გარემოების ძალდატანებას უთმობდენ. არ იყო ინიციატიური წინდასწრება და დაჩქარება. მუდმივი უხასიათობა საჭირო ენერგიული გარდაწყვეტილების მისაღებად, ქართული ენის შეთვისების საჭიროებაზედ გულს უცრუებდა იმ რუსის მოხელეებსაც, რომელთაც ლოიალურად სურდათ საქართველოს სამსახურში დარჩენა და მუშაობა.

ყველაფრიდან სჩანს, რომ ჩვენს მართველ პარტიას და მის მთავრობას ჯერაც ვერ გაუნთავისუფლებია თავისი თავი ძველი ცოდვებისგან. იდეოლოგიურ-პსიხოლოგიური ნაციონალიზაცია მათში ჯერ კიდევ სავსებით არ დასრულებულა. დღესაც, დამოუკიდებლობის ათი თვის თავზედაც, ეს ხალხი მერყეობას და გაუბედაობას იჩენს. მეტიც. ბევრ შემთხვევაში იგი უკან იხევს, და საქმის წარმოების გარუსულება შემოაქვს, სადაც აქამდე ცოტათ თუ ბევრათ ნაციონალიზაცია იყო განხორციელებული. ჩვენ უკვე ვწერდით რკინის გზაში საქმის წარმოების გარუსულების თაობაზედ. თბილისის ქალაქის თვითმართველობამ უკვე ხელი აიღო თავის დაწესებულებების ნაციონალიზაციაზე. იგი ქართულ ენის ცოდნას იმათგანაც არ მოითხოვს, ვისაც სამსახურში ახლად ღებულობს.

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები თავიანთ ნაშრომებს რუსულ ენაზედ აქვეყნებენ. ასე მოიქცა საგარეო საქმეთა სამინისტრო, ასე მოიქცა მიწადმოქმედების სამინისტრო. ერთიანად ალებულია ახალი კურსი, საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებების და საზოგადო სახელმწიფო ცხოვრების დენაციონალიზაციისა. არჩეულია ნაკლები წინაალმდეგობის გზა და ხაზი. შემოქმედი ენერგია არ სჩანს და ამ ხალხს არ აწუხებს. ამ მოვლენის გამართლება ყოვლად შეუძლებელია. თითო-ოროლა არა ქართველი სპეციალისტი თავის ეროვნული ძლიერების ბეჭედს არ უნდა ასობდეს მთელს ჩვენ სახელმწიფო ცხოვრებას ასეთი საჭირო პირების გამოყენება ისე უნდა მოხდეს, რომ არ შეილახოს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ძირითადი პრინციპი, და არ დაიჩაგროს ეროვნული შემოქმედების იმპულსი და გაქანება. ამის მოგვარება არც თუ ძნელი საქმეა. საჭიროა მხოლოდ მტკიცე გარდაწყვეტილება და ურყევი რწმენა ჩვენი სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა. საჭიროა შემომქმედი სიყვარული და ყოველგვარი სიძნელე და დაბრკოლება დაძლეული იქნება. ჩვენი მართველი წრეების მოქმედების მეთოდში სწორედ ეს შემომქმედი სიყვარული არ მოსჩანს, არამედ მხოლოდ ძველი რუსული „კაზიონშჩინა“. ამიტომაც გასაკვირი არაა თუ ნაციონალიზაციის საქმეში უკან-უკან ვიხევთ.

## ყუბანის რადის წინადადება

ქართულ პრესაში ხშირათ დგება საკითხი საქართველოს და მის მეზობლებისადმი განწყობილებაზე. ჯერ ხნობით აქ საკითხი მხოლოდ წინასწარ პრინციპიალურ კამათს იწვევს და რაიმე პრაქტიკული ზომების მიღებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა, მაგრამ ეს საკითხი იმდენათ მნიშვნელოვანია და ამ საკითხის განხილვის დროს იმდენი საყურადღებო აზრები გამოითქმება ხოლმე, რომ შეუძლებელია ამის ანგარიშის არ გაწევა. უკანასკნელათ ქართულ პრესსაში ირჩევა ყუბანის რადის წინადადება სამხრეთის სახელმწიფოთა ფედერატიულ ნიადაგზე შეკავშირების. რადას დაუდგენია ახლო ხანში ქ. ეკატერინოდარში მოიწვიოს წარმომადგენლები დონის, ყუბანის, თერგის ოლქის, დაღესტნის, ყირიმის, საქართველოს, სომხეთის, ადერბაიჯანის—რომ იქ შემუშავებული იქნას კონსტიტუცია ახალ კავშირის. რადა ამასთან დასძენს, რომ საჭიროა ბრძოლა, როგორც ბოლშევიზმთან, ისე მონარქიზმთან.

რადის ამ წინადადებას გამოეხმაურა კიდეც „ერთობა“. ქართველ მენშევიკებს ჯერ კიდევ არ დავიწყებიათ ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობა და ჯერ კიდევ განაგრძობენ ამ დარღვეული ფრონტზე ტირილს და რაც უნდა უიმედო იყოს შესაძლებლობა ამ ფრონტის აღდგენის, მენშევიკები წერილებით მაინც უპასუხებენ.

ჯერ იყო და იმავე ქალაქ ეკატერინოდარში დანიშნული იყო რუსეთის ერობის და ქალაქთა კავშირების კრება. მენშევიკები მაშინ ირაკლი წერეთელის დაპირებით და დაჟინებით მოითხოვდენ, რომ საქართველოს წარმომადგენლებიც ყოფილიყვენ ამ ყრი

# უკანასკნელი ცნობები

გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა პროექტი შემოიღოს საბჭოთა სისტემა და მუშათა და გლეხთა დეპ. ცალკე საბჭოები შემოიღოს.

გალიციაში პოლონელთსა და გერმანელთა შორის ბრძოლა გრძელდება.

ფრანკფურტში უსურსათობის გამო არეულობა მოხდა. დემონსტრაციის დროს მთავრობის ჯართან შეტაკება მოხდა. ბრბომ მრავალი სასურსათო საწყობი დაანგრია.

ვიურტემბურგში გენერალური გაფიცვა გამოცხადდა.

---

ლობაზე, რათა რუსეთის დემოკრატიისთვის ეთქვათ ძმური სიტყვა. ბევრ მიზეზების გამო ამ ყრილობას არაფერი შედეგი არ ჰქონია—ეს უკანასკნელი შემთხვევა იყო მთელი რუსეთის ფრონტის აღდგენისკენ მიმართული...

ამის შემდეგ რუსებიც და ქართველებიც გამოეთხოვენ მთლიან რუსეთის ფრონტის აღდგენის ილუზიებს.

მაგრამ ეხლა საკითხი უფრო დაამოკლეს და ერთიანი ფრონტი უნდა შეიქნას სახელმწიფოთა კავშირით, ეს არის აზრი ყუბანის რადის წინადადებისა. ჩვენ არასდროს არაფერი არ გვექნება წინააღმდეგი, რომ საქართველოს მეზობლებთან კეთილ მეზობლური განწყობილება ვიქონიოთ... მაგრამ რაიმე კავშირით შეკრა და ერთი ფრონტის გაყოლება—როგორც ამას რადა მოითხოვს და „ერთობა" ეთანხმება—შეიცავს ერთგვარ საფრთხეს... ამ წინადადებაში დამალულია ძველიც დიდი რუსეთის აღდგენის იდეა, მხოლოდ ამ მიზნით არის ეს წინადადება მოგონილი. თავი, რომ დავანებოთ იმას, რომ ჩამოთვლილ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ შეთანხმება, რამაც თავის დროზე გამოიწვია კიდეც რუსეთის დაშლა ანგარიში იმასაც უნდა გაეწიოს, რომ არა თუ ასეთი შეურიგებელი ინტერესების სხვათა დასხვაობით სახელმწიფონი, ამიერ კავკასიამაც ვერ მოახერხა ფედერაციის ცხოვრებაში გატარება და სეიმი ისე დაიხურა, რომ კონსტიტუციაც არ შეუდგენია.

მხოლოდ არა გულწრფელ პოლიტიკოსებს შეუძლიათ ამ მომავალ კავშირის— დაარსებაზე სერიოზულათ წერა—ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ უნდა გამოვეთხოვოთ იმ აზრს, რომ როდისმე არა ბოლშევიკური რუსეთი მოახერხებს ძველის სახით რუსეთის შეკავშირებას, ყოველ შემთხვევაში ამაზე დაყრდნობა მიუტევებელი შეცდომა და თავის მოტყუება იქნებოდა. რუსეთის რევოლიუციის მსვლელობამ ბევრ ილუზიებს მოუღო ბოლო და მხოლოდ გაუსწორებელ იდეალისტებს სჯერათ არა ბოლშევიკურ რუსეთის გაერთიანება, მაგრამ ამათი რიცხვიც ყოველ დღე ჰქრება.

ყუბანის რადის წინადადება უკანასკნელი გამოსახვაა იმედ მიხდილი ხალხის და საქართველომ ბევრი გამოსცადა, ისწავლა, რომ ახალი ილუზია დაიჯეროს...

## პრესსა

„ერთობა" ეხება ახალციხის მაზრის მოღალატეების აჯანყებას საქართველოს წინააღმდეგ, აღნიშნავს ოსმალეთის მთავრობის მიერ მოწყობილ პროვოკაციას და ასე აფასებს ამ კუთხის მნიშვნელობას საქართველოს უზრუნველყოფისა და მთლიანობისათვის:

„ჩვენ ვაფასებთ ახალციხე-ახალქალაქს არა როგორც ძველ მესხეთს, აკვანს საქართველოს კულტურისას, არამედ როგორც საქართველოს სტრატეგიულს კარს. ყოველთვის აქედან მოდიოდა საქართველოს ასაოხრებლათ ჩვენი ისტორიული მტერი—ოსმალეთი და საქართველომაც მას შემდეგ დაკარგა თავდაცვის უნარი, როცა ეს მხარე ოსმალეთმა ცეცხლითა და მახვილით შეიერთა. და ის გარემოება, რომ დღეს ამ მხარეში უმრავლესობას არ შეადგენენ ქრისტიანი ქართველები, სრულებით ვერ სცვლის საქმის ვითარებას, რადგან სარწმუნოება სრულებით არ ითვლება სახელმწიფოებრიობის შემადგენელ ელემენტათ და ამ მხარის მცხოვრებლები არ გაურბიან საქართველოს, რომელიც სავსებით უზრუნველჰყოფს მათი სარწმუნოების თავისუფლებას და კულტურის განვითარებას".

გაზეთის აზრით, მთავრობამ ლმობიერება უნდა გამოიჩინოს მაზრის იმ მცხოვრებლებისადმი, „ვინც შეუგნებლად იქმნა ჩაბმული ავანტიურაში", მაგრამ „ერთობა" სამართლიანად მოითხოვს სასტიკ დასჯას იმ ხალხისას, რომელნიც მცხოვრებლებს ჰრევენ და ძალით ცდილობენ მათ დამორჩილებას.

ავანტიურის ლიკვიდაციას „ერთობა" მოითხოვს უმეტესად იმ მიზნით რომ მთავრობას შეძლება მიეცეს ამ მხარეში გაატაროს აგრარული რეფორმა.

ჩვენ არა ერთხელ გამოგვითქვამს ის აზრი, რომ მთავრობა მოვალეა დროზე მიჰხედოს „საქართველოს სტრატეგიულ კარს"—მესხეთ-ჯავახეთს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ჩვენი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები დღესაც ზოგი ღიაა, ხოლო ზოგი უცხო სახელმწიფოს აქვს „მიბარებული"... იქნებ, ეხლა მაინც შევიგნოთ განაპირა ქვეყნების გამაგრების საჭიროება და მით საქართველო უზრუნველვყოთ მოსალოდნელ თავდასხმისაგან...

განაპირა კუთხეებში სოციალური ნოვატორობა კი ფრთხილად უნდა აწარმოვოს მთავრობამ, რომ აჩქარებული რეფორმებით თავისებურ პირობებში შეზრდილ ხალხში გასაგები უკმაყოფილება არ გამოიწვიოს.

## ქრონიკა

◆ **გაზეთ „საქართველოს" რედაქციის დეპეშა.** ჩვენმა რედაქციამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა მთავრობის თავმჯდომარე—ნოე ჟორდანიას. „გაზ. „საქართველო"-ს რედაქცია ულრმეს მწუხარებას გიცხადებთ, დიდათ პატივცემულო ბატონო ნოე, თქვენი საყვარელი ვაჟის უდროო გარდაცვალების გამო".

◆ **ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენლის დაბრუნება.** თბილისში დაბრუნდა და თავის დადგენილებას შეუდგა ადერბეიჯანის დიპლომატიური წარმომადგენელი გ. ჯაფაროვი.

◆ **სატრანსპორტო საზოგადოება.** ხუთშაბათს 3 აპრილს სამეურნეო ბანკში შესდგა კრება სატრანსპორტო საზოგადოების დამაარსებელთა. აღნიშნულ საზოგადოებას ძირითადი თანხა აქვს 12 მილიონი. კრებამ მოისმინა და დაამტკიცა საორგანიზაციო კომისიის მოხსენება. შემდეგ აირჩიეს ხარჯთ-აღრიცხვის გადამსინჯავი კომისია და გამგეობის წევრები. აირჩიეს აქციონერთაგან: ა. ჯაბადარი, ინჟ. გ. თუმანიშვილი და გ. ფირცხალაიშვილი. მთავრობის მხრივ: ნ. დეკანოზიშვილი, ა. ჯაფარიძე და ინჟ. ვ. არდიშვილი.

◆ **მე-3 კურსი სამკურნალო ფაკულტეტზე.** მომავალ წლიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე გაიხსნება 3 კურსი თუ, ამის მსურველნი აღმოჩნდებიან 50 კაცამდე, არა უგვიანეს ერთი კვირისა. თხოვნას მიიღებენ ყოველ დღე სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში საღამოს 5—7 საათამდე.

◆ **საგზაო ფული.** ამ დღეებში იუსტიციის მინისტრმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, სასამართლო უწყების მოსამსახურეებს სამსახურის საქმეთათვის სამგზავროდ დღიურად მიეცეთ 30—50 მანეთამდე.

◆ **მუშაობის დროზე დაწყებისათვის** იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ცირკულიარი დაუგზავნა სასამართლო უწყების დაწესებულებებს რომ მოსამსახურენი სამსახურში 9 ნახ. საათამდე ცხადდებოდნენ, და საქმის წარმოება იწყებოდეს არა უგვიანეს 10 საათისა.

◆ **მექრთამეთა გასამართლება.** საგანგებო სასამართლოში 8 აპრილისათვის დანიშნულია გასამართლება კომისრის თანაშემწის ჭკუასელის, და მილიციონერთა კიკნაველიძისა და ჯანელიძის. სამთავეს მექრთამეობა ჰბრალდებათ.

◆ **დუშეთის ამბოხების საქმე.** გაზეთებში მოთავსებული ცნობა, ვუთომც დუშეთის ამბოხების საქმის გარჩევა დანიშნული იყოს ამ მოკლე ხანში სიმართლეს არ შეეფერება. საქმეები თხოვნისამებრ გადაეცა პალატის პროკურორს.

◆ **პური ამერიკიდან.** ამ დღეებში ამერიკის გემით ბათუმში მოვიდა 250,000 ფუთი ხორბალი, რომელიც ამიერ კავკასიის მცხოვრებთ დაურიგდებათ.

◆ **ქურდობა.** 3 აპრილს ღამით ა. აგუკოვის ბინიდან (ბებუთოვის ქ. № 6) ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 10,000 მან. ღირებული ძვირფასი ნივთები.

◆ **რაჭველ-ლეჩხუმელთა კრება.** ორშაბათს, 7 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე მუშტაიდის დემოკრატიულ კლუბში დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის საზოგადოების წევრთა კრება კრების საგანია გამგეობის მოხსენება და ახალი გამგეობის არჩევნები.

◆ **„მნათობი"** გამოვიდა ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი—სახელმძღვანელო „მნათობი". წიგნი შეიცავს 136 გვერდს და ჰღირს 6 მანეთი.

◆ **მუხის ქერქის მოგროვება.** 8 აპრილს, დილის 10 ს., მიწათ მოქმედების სამინისტროს სატყო განყოფილების მიერ დანიშნულია შეჯიბრება მუხის ქერქის მოგროვების შესახებ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ტყეებიდან. ამ შეჯიბრებისთვის მოწვეულ არიან მიწად-მოქმედების სამინისტროს ბინაზე (პეტრე დიდის ქ. № 22), ყველა ის პირნი, რომელთაც ჰსურთ მიიღონ უფლება მუხის ქერქის მოგროვებაში. შეჯიბრებას მიზნად აქვს დასახული თავიდან აიცილოს ტყავეულობის კრიზისი, რომელიც გამოწვეულია მოსაქნელ მასალის უქონლობით.

◆ **ქარხნის წარმოების განახლება.** 2 დიდი ლუდის ქარხანა, 1 ყინულის მკეთებელი ქარხანა ნოე გლახუას ძე სიხარულიძისა (ყოფილი ვეტცელი), რომელთაც 1914 წ. შესწყვიტეს წარმოება მოკლე ხანში მუშაობას განაახლებენ. ეხლა ქარხნებში ჰსწარმოებს სწრაფი სარემონტო და შესასწორებელი მუშაობა ინჟინერ ანტონოვსკის ხელმძღვანელობით. ქარხნები მუშაობას დაიწყებენ მომავალ კვირას.

◆ **მაჰმადიანთა დივიზიონი.** ქართულ მაჰმადიანთა დივიზიონში მყოფი არა მაჰმადიანნი ჯარისკაცები ადმინისტრ. ინსპ. მაღლაკელიძის განკარგულებით გაანთავისუფლეს. მაჰმადიანი ჯარისკაცები კი დატოვს დივიზიონში, რომელიც თბილისში იმყოფება.

◆ **ინგლისელთა ვაგონის გაქურდვის საქმე.** ინგლისელთა ვაგონის გაქურდვის საქმეზე შეპყრობილ ხაშურ-ბორჯომის სადგურთა უფროსის იმნაიშვილის და სხვა. შუამდგომლობა გასამართლების შესახებ შინაგა საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადაეცა განსახილველათ და დასასკვნელათ ადმინისტრაციის ინსპექტორ ბ. მაღლაკელიძეს.

◆ **ამერიკელ ინსტრუქტორების და „ტაიმსი"-ს თანამშრომლის ჩამოსვლა თბილისში.** გუშინ ამერიკიდან თბილისში ჩამოვიდა 40 ამერიკელი ინსტრუქტორი და მოწყალების დები, ამიერ-კავკასიის ლტოლვილთა დასახმარებლათ. ამასთანავე ჩამოვიდა გაზეთ „ტაიმსის" თანამშრომელი.

◆ **პანაშვიდი იოსებ ყიფშიძის სულის მოსახსენებლად.** კვირას, 6 აპრილს, დიდუბის ტაძარში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი პროფესორის იოსებ ყიფშიძის გარდაცვალებიდან 40 დღ[illegible] წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი წირვის შემდეგ.

## კრებები.

◆ **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზ-ბის საზოგადო კრება.** კვირას, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის დარბაზში (ოლღის ქუჩა № 40), მოხდება ჩვეულებრივი საზოგადო კრება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა". მოხსენებას წაიკითხავს ს. გორგაძე—ჩვენი ძველი საფილოსოფიო მწერლობის შესახებ. კრებაზე დასწრება არა წევრთაც შეუძლიათ.

## პარტიული ცხოვრება

კვირას, აპრილის 6, საღამოს 5 საათზე, გაზ. „საქართველო"-ს რედაქციაში (პარტიული ბიურო) დანიშნულია ეროვნულ დემოკრატ ახალგაზრდების საერთო კრება, რომელზედაც გაგრძელებული იქნება კამათი შესახებ წასულ კვირას წაკითხულ მოხსენებისა:—ჩვენი ორგანიზაციული მუშაობა.

## სამხატვრო ქრონიკა.

— **დ. თარხნიშვილების საღამო.** 8 აპრილს, ქართულ კლუბის დარბაზში ქართლელი მომღერლები—დანი თარხნიშვილები ჰმართავენ საღამოს. საღამოზე გამოვლენ დანი თარხნიშვილები საკუთარ ჯგუფით და ქართლურ სიმღერებს შეასრულებენ. საღამოში მონაწილეობენ აგრეთვე მგოსანი ი. გრიშაშვილი და „თეატრი და ცხოვრების" რედაქტორი—იოსებ იმედაშვილი.

— **სახალხო სახლი.** დღეს, სახალხო სახ. არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ტარტიუფი".

**„თეატრი და ცხოვრება"-ს** მესამე ნომერი გამოვიდა. ჟურნალში დაბეჭდილია: ვ. შალიკაშვილის დაუბეჭდავი კომედია „ჩვენები", საქართველო-სომხეთის ომიდან აღებული რომანის „განახლებულ სიცოცხლის" გაგრძელება, მოთხრობა, მინიატურა, წერილები, ლექსები, სურათები ხელოვანთა, მწერალთა, სამხედრო მოღვაწეთა და სხ.

**„თეატრი და მუსიკა".** ქუთაისში გამოვიდა სათეატრო და სალიტერატურო ჟურნალი „თეატრი და მუსიკა". ჟურნალი შემკულია ილიუსტრაციით და ღირს 10 მანეთი.

**ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე."** კომპოზიტორ დ. არაყი-

---

# ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

37.

წავიდა მეფე, თან გაჰყვა მას მასპინძლების თვალი და გული. პაატას იმედი ჩაუსახა მეფის აღთქმამ.

— მსწრაფლ აღასრულებს თავის დანაპირს. დაყოვნება არ უყვარს, აღარც ყოყმანი, როცა გარკვეულ აზრს ადგია. გადავლენ იქ, არტანუჯში მეფის ციხე-დარბაზის სიახლოვეს იცხოვრებენ უზრუნველყოფილნი. პაატა მეფის მოყმეთაგანი იქნება, მისი თანამხლებელი ყოველსა ჟამსა, შვებისა თუ იწროების დროს, ჭირში თუ ლხინში. გაიზიარებს მბრძანებელის ყოველ გულისთქმას, სამშობლოსაკენ მიმართულ მის ფიქრებს კეთილს. მეფის მარჯვენა შეიქმნება იგი მარჯვედ მოქმედი. ერთხელ იხსნა ცხებული განსაცდელისგან, კვლავ შესწირავს თავს მის სასიკეთოდ, ესე შეჰშვენის რაინდს უმწიკვლოს. ისევ კარგად შეიქმნება პაატა და ძალიან მალეც: მეფის კარს გათქმული ექიმები არ დაილევიან; ბატონი უბრძანებს მათ, ზედ შეალიონ თვისი ცოდნა მისთვის თავგანწირულს.

ლამაზმა ფიქრებმა თავი წაართვეს ვაჟკაცს, გაიტაცეს. ულიმოდა იგი თავის ოცნებას უკვე ხორცშესხმულს; სიამის შუქი პირს დაჰფენოდა, ჩაქარვებულ სახეზედ იმედის ყვავილი გადაჰფურჩქვნოდა თვალგაბრწყინვებულს. დუმილთ გაჰმზერდა აშოტის სავალს, განგების კვერთხით ქართვლის ბედზედ გავლებულ მის გზას.

სტუმრის გზას გაჰყურებდა შუქურიც, მასზედ ფიქრობდა. აშოტის თქმაში თუ მზერაში ამოეკითხა ქალს თბილი გრძნობა, რომელი თითქო გადასცილებოდა სახიერებით ნაკვესს თანაგრძნობას და შაღლო ბჭე ფარულ ნდომისა. მის მზერაში გამოსჭვიოდა მზის სხივთ მილტოლვა ყვავილისადმი გაშლილისა. ამას ალღოთი ატყობდა ქალი; მოქმედებაში არ დასახულიყო ესეთი სწრაფვა. ეს საიდუმლო განცდა თავისის სიდიადით თუ საოცრობით არხევ არყევდა ქალის გულს საწყალს და აღელვებდა ხან საიმედოდ, ხან საზარელად.

— ნუ თუ მეფემ შეჰხედა შუქურს სურვილის თვალით?! ნუ თუ გული უთქმიდა მას მისთვის, მხევლისათვის თვისისა?! ვაი თუ მართლა გულს ისრად დაესვა მეფეს მისი სიკეთე დიაცური და მაშინ... დასწვავს სურვილი ქვეყნის მპყრობელისა მას საწყალობელს.

— მზის შვილია მეფე. როგორ გაუძლებს მის სხივთ სიცხოვლეს სუსტი ბილილა, უკეთუ მისკენ მიაქცევს იგი თავის მცხინვარებას?!

— დამწვავს მზე ჭაბუკი, დამფერფლავს, ნავლად გარდამქნის და... ტერფით დამქელავენ; ქარი წამიღებს, მტვრად მიმომაბნევს. მე კი... მე მსურს ჩემი ცხოვრება პატივით ვატარო, უმწიკვლოდ მივიტანო ჩემი ქალობა კუბოს კარამდინ... რითი შევებრძოლო ნებას უძლეველს ან როგორ?!. და დავიდები საკიცხვად ქვეყნისა, დაგმობილ იქნების კაცთაგან ხსენება ჩემი... ნუ, ნუ იყოფიან ესრეთ, მიხსენ, უბინოვო, ვნებათაგან აღტყინებულთა, ისართაგან საცდუნებელთა; განმარინე მხევალი შენი განსაცდელისაგან საშინელისა, სახმილისაგან..

— ახ, რა ნათელია იგი სახმილი ტკბილ-მწვავი! დამწველი, ვით ცეცხლი უფლისა მისდა შეწირულთათვის; ტკბილი, ვით ღვთაების ნათელი უჩრდილო მისგან შეწყნარებულთათვის.

გრძნობდა შუქური გულის სიღრმეში, რომ იგი სახმილი ვნებათა, მისგან ბუმბერაზის არსებაში აღგზნებული, არც თუ ისე სარიდო იყო მისთვის; იქნება მის მწველ ალში ენახა მას შუქი თვის ნეტარებისა. გული თითქმის ულიმოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ განთქმული მეფე დიდებული აფასებდა მას, ქალს ლამაზს, სამდომ-საალერსოდ. ხომ დაჰნატროდა შუქური დედოფალს, თანამეცხედრეს რჩეულის ვაჟკაცისა; ან შესაძლოდა სჩანდა, თითონ შექმნილიყო დედოფალი რჩეული იმ ვაჟკაცისა, მის გულის ვარდი საიშვიათო.

— მოხდება, დიდი მბრძანებელი მოიხიბლება უბრალო მხევლისაგან. სიტურფე დაიმონებს ლომგულ ყარამანს. უწინ თურმე ეშხით ბყრობილი ღმერთები ხორცს შეისხავდნენ დაუკავშირდებოდნენ მშვენიერებას. სიტურფე ღვთაებურ ნიჭთაგანიაო უშლელი, ანარეკლე თვით სახიერის მეუფისა. ვაჰ, რომ ეშმა თვის ბადედა ხმარობსო მას ხანდისხან, მითხრა ერთხელ დედა თებრონიამ. ბევრის მცოდნეა იგი თებრონია, მეფეთა კარს ზრდილი, განათლებული, დიდის გრიგოლის თანამოღვაწე, მისი ცალი სულიერი, სთქვა ქალმა, და სარკეში ჩაიხედა: უნდოდა მოეალერსებინა თავის შუქმფენ სახისათვის. ბოლო დროს სიმშვენიერე თანდისთან ემატებოდა შუქიას, თვალთა ნათელიც უფრო ეგზნებოდა. ახალ ქალურ მეტყველებას იღებდა მისი სახე, ისევ ისეთს, როგორიც იყო ჯერეთ უფრჩქვნელი, ხელშეუხები.

— იქნება ეს ჩემი სახე თანასდევს ქვეყნის მესვეულს, მოჰირნახულეს?! იქნებ სიამეს აგრძნობინებს ერის კეთილზედ მარად მზრუნველ მაღალ გონებას?! მაგრამ...

— ჰო, მშვენიერო, შენი სახე გაწყურელად თან ახლავს შენს მეფეს. იგი სახე გადუხსნის ვაჟკაცს ზრუნვით მოღრუბლულ შუბლს, მის თვალთ მიჰფენავს ნათელს მღიმარეს. მადლი შენ, ყვავილო მშვენიერო ჩვენის ქვეყნისა!

— იგიც ხორციელია და ვერ შესძლებს დიდის ზრუნვის მარად დღე ტვირთვას, თუ ჟამითი ჟამად გული არ გაულიმებს მას, თვალი არ დაუტკბება ხილვით წალკოტში გაშლილ რამ სიტურფისა, თუნდ სხვის სავარდეში: სიმშვენიერე ჰნათობს მზესავით და ყველასა აქვს უფლება ეთაყვანოს მას.

-- შორეულსა?

— ძალიან შორეულსაც!

— და მხოლოდ ლოცვაი შორიდგან? თაყვანისცემა შორეულს?

შუქური გართული იყო სარკეში მზერით. იგი ეალერსებოდა სიცოცხლით სავსე სახეს, მიჰვრიტიდან რომ გამოჰმზერდა მას მღიმარე, ეალერსებდა თავის სპეტაკ ლოყას ვარდით შეფერილს, მოსწონდა ტევრი დახრილ წამწამთა, თვალთა სხივს რომ გაეშუქებინა მწვანე ციაგად გამოკრთომილსა; ეალერსებდა თავის ლამაზ სახეს, გული რომ გაუნათა მეფეს თუნდ ერთს წამს, მზრუნველ ბუმბერაზს, მამულის დარაჯს.

იცოდა ეხლა შუქურმა ეს, ალღოთი მიმხვდარიყო ამას, უხმო ხმას ჩაეწვეთებინა ეს მისთვის პატარა ყურში, მარგალიტის ნიჟარასავით სპეტაკ ყურებში. ძლიერ ფარულად ეთქვა ეს, ისე საიდუმლოდ, რომ არ გაეგონა სხვის აჩრდილსაც კი, არა ჰსმენოდა მის საყვარელ ქმარს, შავარდენ ჭაბუკს აწ ფრთა მოტეხილს, მიმკრთალებულს, მიწის ფრად ფერფლილს, დაშტერებით რომ უმზერის თავის მეუღლეს.

არ იცოდა უბრყვილო შუქურმა, რომ იგი ხმა იდუმალი საყვირის ზახილივით ესმოდა პაატას, უხმო კივილი იგი ყურს უხევდა მას თავის სიმკაცრით, გულს უპობდა მას, ვით განმახვილი წვერი მომღერალის ჰოროლისა. პაატას სარკეში ამოეკითხნა ქალის გულისთქმა, როგორც რომ მისანს, იმავ სარკეში, საიდანაც მოსჩანდა სახე შუქურისა, და შურით აღგზნებული გული მისი სევდის ნაპერწკლებს აკვესებდა მის თვალებიდან.

ქალმა იგრძნო მწვავე ცეცხლი შურისა და მსწრაფლ დაუშვა სარკე. სინანულის ღიმილით მიუბრუნდა ქმარს. მიუახლოვდა, მიეალერსა. პაატამ უსიტყოთ ჩააქრო თვის გულში შურისა; შუბლზედ აკოცა მის მიხრწნილ ხელთ მყოფ სიტურფეს. მოულბა გული. შეეცოდა ქალი. შერცხვა თავის ეჭვიანობისა.

— რას არ იფიქრებს ეჭვით აღსავსე გული კაცისა, რა ცოდვას არ ჩაიდენს! გაიფიქრა სირცხვილეულმა.

38.

შუქურის ფიქრი თან აედევნა მეფეს მიმავალს, შეიჭრა იგი მის ჰაზრთა სადენში, საამო საგნად შეექმნა მეფის გონებას. შუქურის სახეც თან აჰყვა აშოტს, გზა-გზა ულიმოდა კდემამოსილად. ძლარც მოჰშორდა იგი ხატება მის გონების თვალს, სახელმწიფო ზრუნვათაგან შენაოჭებულს მის მაღალ შუბლსა. თან ახლდა მეფეს იგი სახე შვების დროსაც და მოქმედების ჟამსაც; მეჯლიშშიც და საბჭოს დარბაზშიც. ბრძოლის დროს, ბუმბერაზულ შემართების წამს, ბევრჯელ ასციაგებია მას იგი სახე მოწვდილ ხმლის ელვარებაში. ყოველთვის გულს უამებდა ვაჟკაცს სათნო იგი ხატება მშვენიერი, სიმშვიდეს აგრძნობინებდა სულით ასვენებდა ფრიად დამაშვრალს. უზომოდ ღელვილს. ძილად განმზადებულ აშოტს ბევრჯელ შეუნიშნავს იგი აჩრდილი თვის სასთუნალთან.

შუქურის ეთეროვანი სურათი ჩადგა მეფისა და მის მეუღლის შუა. როცა დედოფლის თვალთაგან მშრალგულიანი მბრძანებელის ულმობელობა მცხინვარებდა, შუქურის თვალთაგან მსალბუნებელი სითბოთა სხივი გამოკრთებოდა და სათნოების ნაზ ნათელში ჰხვევდა ვაჟკაცის ყოფას, დამყურებელ სიამეს განაცდევინებდა.

მეფე შეეჩვია საიდუმლოდ მასთან თანამავალ ამ სახებას. ბევრჯელ განრისხებული მსწრაფლ დამშვიდდებოდა, მიაპყრობდა რა იმ ჩვეულებას თვის გონების თვალს: განხორციელებულ სათნოების გვერდთ ჰქრებოდა სისასტიკის ალი აღტყინებული. ხელებს დაუკოცდნენ შუქურს ყველანი, ვისაც კი ასცდენოდა მეფის რისხვა იმ სანდომ ჩვენების ზედ-გავლენითა. ახ, არ იცოდნენ ეს საიდუმლო!

უკვირდა მეფეს, რომ იგი ხატება ჟამთა მსვლელობაში კი არა ცრიალდებოდა, არც ბაცდებოდა, უფროც ცხადი იქნებოდა, ყინჩდებოდა, მკაფიო მეტყველებას იღებდა... სამეფო ზრუნვები კი არ აგრიალებდნენ აეფის გულში ამ ახალ გრძნობას, არცა სჩრდილავდნენ გონების თვალთ წინ იმის არსებას, უფრო ამჟღავნებდნენ, აცხოველებდნენ: მეფე თავის ყველა სალვაწს იმ ქალის სახელით იწყობდა ეხლა და მის მოგონებით დაათავებდა.

სამოქმედო კი აუარებელი ჰქონდა საქართველოს მაშენებელსა: სამზღვრების გაფართოვება და გამაგრება, ციხე-ქალაქების აგება და შეიარაღება; მეზობელ სახელმწიფოებთან თუ იამფლობელოებთან კავშირის გამტკიცება და საპატიო პირობათა დადება; ხალხის ცხოვრების აღვსებით დენა, აღყვავება, განვითარება. ამ მრავალ სახე შრომისა და მოღვაწეობის დროს გვერდში უდგნენ მას მისნი ერგულნი თანამშრომელნი, მასთან ერთად ილვწოდნენ იგინი თავგამოდებით. ხოლო უხილავად მარად თან ახლდა მას იდუმალი თვისი სიყვარული შუქური და განახნევებდა ტვირთმძიმეს თავისი თვისი თბილი თანაგრძნობით. შუქური მარად აღტაცებული იყო მეფე რაინდის ქველობით და ამ მხურვალე თანაგრძნობას, აღფრთოვანებას იგი ჰხატავდა სიტყვით კი არა, ალერსით იდუმალით, მხოლოდ შეხედვით, უსამზღვრო ნდობა რომ იხატებოდა, იმ ჰვრეტით სახიერით.

თითონ რაინდიც ცხებული სხვას რომ ბევრს არ ეტყოდა თავის დიდებული საისტორიო მოქმედებებზედ, სხვებთან რომ განსაკუთრებულ ყურადღებას არ მიაქცევდა მათ, თითქო ის დაუვიწყარი საქმეები მხოლოდ უბრალო საკეთებელნი ყოფილიყვნენ ჩვეულებრივნი; შუქურს მოუთხრობდა დაწვრილებით, თვის გულს გადაუხსნიდა მას, დიდებულ გრძნობათა შესაკრებელს. იმასაც კი ამცნობდა ვაჟკაცი, როგორი შიში იპყრობდა რაინდს უშიშარს ზოგიერთი სახელმწიფო სამოღვაწეოს წინაშე, რომელი თავისი სიდიადით თუ სიძნელით თავზარსა სცემდა მას, სასოწარკვეთილების ბჭემდინ მისდრეკდა. იმასაც მოუთხრობდა ქალს, როგორი სიხარულით გაშუქდებოდა მის კაჟივით გულში, როდესაც ეწეოდა თვის სურვილს დიდებულს, აღისრულებდა საწადელს საბედნიეროს.

— შუქურო ჩემო! იცოდე, შენ ხარ ერთადერთი მისანდობელი ჩემი და ვის უნდა ვამცნო პირველი ჩემი მისწრაფებანი, თუ არა შენ?! შენს თვალებში ამოვიკითხავ მოწონებას, მაჯილდოვებელ ალერსს, მამხნევებელ წაქეზებას. იცი? შენის რიდით ვერა ვბრძანებ რამ სისასტიკეს, თუნდაც საჭიროს, მფლობელისათვის აუცილებელს, ვეკრძალვი შენს აჩრდილს ლმობიერს...

— ახ, როგორ შევეთვისე შენს სურათს, ჩემს სულში ასახულს! ხალისსა

შვილს თავისი ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“ სახელმწიფო თეატრის სცენიდან მოუხსნია ვინაიდან ოპერას უკანასკნელ წარმოდგენების დროს მეტად ცუდად ასრულებდნენ. დ. არაყიშვილმა ოპერის დადგმა აკრძალა.

**სახელმწიფო თეატრი.** დღეს პირველად ამ სეზონში იდგმება რიმსკი—კორსაკოვის ოპერა „სადკო“.

**„ტარტოს დრამა.** დღეს მსახიობ ოთაროვის ბენეფისია. სდგამენ ფარსს „მაგდალინელის თავშესაფარი“.

**„ლადია არგონავტოვ“.** დღეს მორიგი ინტიმიური სალამო შესდგება.

**კონსერვატორიის დარბაზი.** დღეს მომღერალ ზალიპსკის კონცერტია.

## პროვინციის ცხოვრება

### ბორჩალო.

თანახმად ადმ. ინსპ. მაღლაკელიძის განკარგულებისა საგუბერნიო ბატალიონის ნაწილი ბორჩალოდან თბილისში ბრუნდება.

### დუშეთი.

დუშეთის მაზრაში გავრცელებულ ძარცვა გლეჯის გამო განზრახულია ცხენოსან რაზმის დაარსება.

### სამხედრო გზა.

დუშეთის მაზრის კომისარს ადმ. ინსპ. მაღლაკელიძემ განკარგულება უბოძა, რათა შესაფერი ზომები მიიღოს საქართველოს სამხედრო გზაზე ყაზბეგში საქონლის გაზიდვა-შემოზიდვის საქმის საკონტროლოდ.

### სიღნაღი

სიღნაღის მაზრაში მრავალი გავარდნილი ყაჩაღი თარეშობს. ადმინისტრაციის მიერ მიღებულ ზომებით მრავალი კიდეც დააპატიმრეს.

### თელავი

თელავის არემარეში შესდგა ყაჩაღთა ბრბო „უტრუხუნე“-ს მეთაურობით.

### თიანეთი

კარგი ამინდები დაიჭირა. გადამდებ სენმა თითქმის იკლო.

### ალგულახი

ალგულახის არეში ავაზაკები მგზავრ ხალხს მეტად აწუხებენ. საჭიროა შესაფერ ზომების მიღება.

### ბათუმი

ბათუმში ცრუ ხმები გავრცელდა, თითქოს საქართველოს მთავრობა რეკვიზიციას ახდენს შემოსულ საქონელზე. აქ დიდძალ შემოსატან სურსათს და საქონელს ელიან სტამბოლიდან, მაგრამ მრავალ ვაჭარს გზაშივე ჩალის ფასად გაუყიდია რეკვიზიციის შიშით. შემდეგ გავიგეთ მხოლოდ რომ ეს ამბავი სინამდვილეს არის მოკლებული.

## გაფიცვის შესახებ

**გაფიცულთა კრება.**

ხუთშაბათს, 3 აპრილს, ზუბალაშვილის სახლში შესდგა კრება ქალაქის გაფიცულ მოხელეთა. კრებაზე მიწვეული იყო ქალაქის თავი ჩხიკვიშვილი. მან თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ქალაქის საბჭო ისევ თავის დადგენილებას იცავს, გაფიცულნი დათხოვნილნი არიან და სდგება ახალი შტატი, ის მოსამსახურენი, რომელთაც ხელ-ახლად შეიტანეს თხოვნები, მიღებულნი იქნებიან, მათი რიცხვი ცოტაა. ახალი მისაღები თხოვნები რიცხვი კი 150 აღწევს. მან განაცხადა, რომ დათხოვნილებს სალიკვიდაციო არ მიეცემათ. მოსამსახურეებმა მოსთხოვეს მას დაჭერილთა განთავისუფლება. მან განაცხადა, რომ დაჭერილია მისი განკარგულებით 4 კაცი, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ გაფიცვისათვის და ემუქრებოდნენ იმ მოხელეებს, რომელთაც გაფიცვას მხარი არ დაუჭირეს.

დაჭერილების განთავისუფლება მას არ შეუძლია.

ამით გაათავა თავისი სიტყვა ქალაქის თავმა და წავიდა.

შემდეგ დიდი ხნის კამათისა, კრებამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„რადგანაც ქალაქის გამგეობა უკვე შეუდგა ჯამაგირების დარიგებას, ამით მათი ეკონომიური მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია, ამიტომ შესწყვიტონ გაფიცვა და დაიწყონ მუშაობა იმ შემთხვევაში, თუ დაჭერილი ამხანაგები განთავისუფლებულ იქნებიან და მიღებულ იქნებიან თავიანთ თანამდებობაზეც.

## იოსებ ოცხელის დაკრძალვა ქუთაისში

დილიდანვე მშვენიერი ამინდი დაიჭირა. რვა საათია. ხალხმა ქუჩებიდან იწყო დენა. პატარა მოწაფენი ცოცხალი ყვავილებით ხელში ცქვიტად მიდიან და ამკობენ საყვარელ მამის კუბოს. ამ დღისთვის თითქმის ყველა სასწავლებლებში, მის პატივსაცემად შეწყვეტილი იყო სწავლა და ყველანი პროცესიაში მონაწილეობას იღებდენ. სრულ ცხრა საათზე გამოასვენეს საკუთარ ბინიდან. აქ სიტყვით მიჰმართა იმავე სასწავლებლის მოხუც მასწავლებელმა დეკ. ი. აბესაძემ. მიუხედავად ექიმების საწინააღმდეგო რჩევისა ახალგაზდების დაჟინებული თხოვნით გაასვენეს და უკანასკნელად კიდევ ანახვეს მისი საყვარელი მეცნიერების ტაძარი—მისი დაარსებული გიმნაზია.

წეს-რიგს იცავდნენ ქუთ. მე-2 ვაჟთა გიმნაზიის მოწაფენი. გზაზე სამ წყებად რიგ-რიგში სამგლოვიარო ჰიმნს უკრავდა სამხედრო მუსიკა. მე-2 გიმნაზიის ეზოში საგანგებოდ იყო მისთვის მორთული ადგილი, სადაც ის მცირეხნით დაასვენეს. გიმნაზიის კედლებზედ ფრიალობდა სამგლოვიარო ბაირაღები. აქ სიტყვა სთქვა ამავე გიმნაზიის პედაგოგმა ალ. გარსევანიშვილმა, მოწაფეთა წარმომადგენელმა, რომლის სიტყვამაც თითქმის ყველა აატირა. შემდეგ გამოეთხოვა უმცროსი მოსამსახურეების წარმომადგენელი ლევანტი ბარდაველიძე. აქედან ცხედარი წაასვენეს ქუთაისის საკათედრო ტაძრისკენ, სადაც სიტყვით მიჰმართა ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგუბერნიო კომიტ. სახელით ტრიფონ ჯაფარიძემ, მან აღნიშნა განსვენებულის დაკარგვით დიდი დანაკლისი, როგორც ქართველი ერის მოზარდ თაობისათვის, ისე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისათვის, აქვე სიტყვით მიმართა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობის წარმომადგენელ მხეიძემ და შემდეგ წაასვენეს კათოლიკეთა ეკლესიაში. წირვის შემდეგ სიტყვა უთხრა ქუთაისის მიტროპოლიტმა ნაზარიმ, კათოლიკეთა პატრმა დონ-დამიანე საკაშვილმა. ს.-ფედერალისტების წარმომადგენელმა აკაკი ფაღავამ,—„რომ შენ არა,—სთქვა მან, მე და ბევრი ჩემი ამხანაგები, რომელნიც ცოტა რამეს ვაკეთებთ ჩვენი ერისთვის, ზედმეტი ბარგი ვიქნებოდით სამშობლოსთვისო“.

საზოგადოდ განმაწესრიგებელ კომისიაში წინა დღეს ასამდის სიტყვის თქმის სურვილი განუცხადებიათ, მაგრამ ეს კომისიას შეუმცირებია ოცამდე, რომელსაც მიუმატეს იმ დღეს თბილისიდან ჩამოსული სახელმწიფო უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ ახალგაზდათა კომიტეტის წარმომადგენლის სიტყვები.

სიტყვებმა სამ საათამდე გასტანა. ამის გამო კომისიამ მრავალ დარჩენილ სიტყვის თქმის მსურველებს სთხოვა თავი შეეკავებინათ. მიცვალებული მიაბარეს მიწას კათოლიკეთა ეკლესიის გალავანში.

ა. ნ ძე.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო).

**4 აპრილი.**

## ბოლშევიკური ცნობები.

**მოსკოვი.** (ც. ა. ბ. ბ. ბიულეტენი). **კარნაფონი.** აპრ. 2. ლონდონის გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დანციგის და საარის ოლქების საკითხების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია. უმაღლეს ეკონომიურ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება გერმანიასთან სავაჭრო შეთანხმების შესახებ. „ტაიმს“-ის პარიზელ კორესპონდენტის სიტყვით დროებითი ზავის შემდეგ გერმანიის იმპორტი და ექსპორტი უნდა შემცირდეს, რათა აოხრებულ ოლქების მექარხნეებს საჭირო რაოდენობის ნედლი მასალა მიაწოდონ. მისივე სიტყვით გადაჭარბებული იყო ჩივილი მსოფლიო ბაზარზე სურსათის და ნედლი მასალის სიმცირის შესახებ. ოთხთა საბჭო ამ ჟამათ იხილავს მსოფლიო ხელშეკრულების ლოიდ ჯორჯის სქემას, რომელსაც უთანხმებს საფრანგეთის, ამერიკის და იტალიის შეხედულებებს.

**პარიზი.** აპრ. 2. საზავო ხელშეკრულებაში დანამდვილებით არ იქნება [illegible]

უმეტეს ნაწილათ დაარსდება პეტროგრადის პსკოვის და ნოვგოროდის გუბერნიაში. ადგილობრივმა მთავარმა კომიტეტმა გადასდო 15 მილიონი მანეთი ამ ორგანიზაციებში გასანაწილებლათ.

**ჟმერინკა,** აპრილის 2. გალიციაში ბრძოლა პოლონელებსა და უკრაინელებს შორის გრძელდება. ტყვეთ არავინ მიყავთ. ტარნპოლში ყოველ დღე სეჩევიკთა ეშელონები ჩამოდის. რუმინიის მთავრობამ ბრძანება გასცა, რომლის ძალით უკან დახეულ პეტლიურას ჯარი, რომელიც ბიზრულში იმყოფებოდა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა.

**ჩერნიგოვი,** აპრ. 2. კოროსტენის რაიონში პეტლიურას ჯარის რამოდენიმე პოლკი სდგას, რომელიც უარს აცხადებს ბრძანების ასრულებაზე. უმეტესი ნაწილი მომხრეა წითელი ჯარის მხარეზე გადავიდეს ის ნაწილიც რომელიც მომხრეა წითელი ჯარის მხარეზე გადასვლის პეტლიურას მომხრეებს ემუქრება იარაღის აყრით. სამხრეთ დასავლეთის ფრონტზე პეტლიურასწვოლინში ავიწროვებენ. ტრამვაიმ მიმოსვლა შესწყვიტა გაზეთები არ გამოდის და ელექტრონიც არ არის დენიკინი სასწრაფოთ როსტოვში წავიდა. რკინის გზის სახელოსნოების მუშებმა მუშაობა შესწყვიტა.

**მოსკოვი,** აპრ. 3. სრულიად რუსეთის კავშირის საბჭოთა ჟურნალისტების აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, აპრ. 2 მოიწვიოს სრულიად რუსეთის საბჭოთა ჟურნალისტების მეორე ყრილობა. ყოველ 20 ვერსზე 1 დელეგატს აირჩევენ 20-დან 40-2 დელეგატს, 40-ზე მეტიდან კი 3 დელეგატს.

**კოპენჰაგენი,** მარ. 27. ოფიციალურად იუწყებიან, რომ გერმანიის მთავრობამ გამოიმუშავა პროექტი შემოიღოს საბჭოთა სისტემა და დაარსოს ცალკე საბჭოები მუშათა გლეხთა და მოსამსახურეთა დეპუტატებისა. ცენტრალურ საბჭოს მიეცემა უფლება გამოიმუშავოს კანონ-პროექტი და მიიღოს მონაწილეობა პალატის თათბირში სხვა და სხვა საკითხების განხილვის დროს.

**ბერლინი,** მარ. 27. ავსტრიის საბჭოთა ც. ა. კ. ტელეგრამაში, რომელიც უნგრეთში საბჭოთა მთავრობას გაუგზავნა, აცხადებს: დაუღალავათ ვაარსებთ საბჭოთა ორგანიზაციებს, ჩვენ დავიწყებთ ბრძოლას და შევასრულებთ ჩვენს მიზნებს, თუ როგორც კი ამას ჩვენგან მოითხოვს ისტორიული აუცილებლობა.

**ჰელსინგფორსი,** აპრ. 3. ამ მოკლე ხანში მოიწვევენ ნორვეგიის ს-დემ. პარტიის განსაკუთრებულ ყრილობას.

**ნაუენი.** აპრ. 2. მაინის ფრანკფურტში სურსათის უქონლობის გამო სერიოზული არეულობა მოხდა. დემონსტრაციის დროს მოხდა მთავრობის ჯართან შეტაკება. არიან დახოცილნი. ბრბო საპყრობილეში შევიდა, გაანთავისუფლა ტყვეები და მრავალი სასურსათო საწყობი დაანგრია.

**პეტერბურგი.** აპრ. 2. საგარეო საქმეთა კომისარის პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელთან მოლაპარაკებას შედეგათ ის მოჰყვა, რომ გაანთავისუფლეს პოლონეთის სარეგენტო საბჭოს წარმომადგენელნი, რომლებიც მძევლებათ დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც პოლონეთში მხეცურათ მოკლეს რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების წევრი.

**მოსკოვი.** აპრ. 3. დღეს მოსკოვში გაიხსნა ფიზიკურ კულტურის და სპორტის მუშაკთა ყრილობა. ყრილობის გახსნის შემდეგ წაიკითხეს ტროცკის წერილი, სადაც ის აღნიშნავდა, რომ სამხედრო საქმის შესწავლა რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს და არ უნდა შეჩერდეს, სანამ მოქალაქეებს შესწევთ ძალა რესპუბლიკის დასაცავათ. მარიასინი ამბობს, რომ სამილიციო ჯარის შექმნა შეუძლებელია, [illegible]

გარდის გაფიცვის კომიტეტმა მთელ ვიურტენბურგში გენერალური გაფიცვა გამოაცხადა.

**ვენა,** მარტ. 25. გრაცში, მუშათა ძლიერი პროტესტის გამო, მთავრობა იძულებული იყო გაენთავისუფლებია ყველა დაპატიმრებული კომუნისტი.

**ვარშავა,** აპრ. 28. დომბროვის მილიციაში ბოლშევიკური განხეთქილებაა, მათ უარი განაცხადეს მთავრობის მორჩილებაზე. რევოლიუციონური ჯარისკაცები და მილიციონერები დახოცეს. ასეთივე ამბავი მოხდა ბერდენში და სოსნოვიცაში.

## გერმანული პრესა.

**ებრაელთა საკითხი**

30 მარტს შესდგა საგარეო საქმეთა დეპარტამენტის საგანგებო ნაწილის სხდომა საზავო მოლაპარაკების შესახებ, გაირჩა ებრაელთა საკითხი. ექსპერტების კომისიამ წამოაყენა შემდეგი დებულებანი: სწორუფლებიანობა, ყველა ქვეყნებში ებრაელთადმი ერთნაირი მოპყრობა და ებრაელთა უფლებები შემზღუდველი კანონების და განკარგულებების გაუქმება; ეროვნული და კულტურული ავტონომია ახლად შემდგარ სახელმწიფოებში იმდენათ, რამდენათ ამას საჭიროდ აღიარებს იქ მცხოვრებ ებრაელთა უმრავლესობა; პალესტინისთვის ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური პირობების შექმნა, რომ მის როგორც ავტონომიურ სახელმწიფოს განვითარება უზრუნველყოფილ იქნეს ყველა ებრაელთა დახმარებით. კომისია მოითხოვს, რომ ებრაელთა დარბევისთვის პასუხი უნდა აგოს თვით იმ სახელმწიფომ, სადაც დარბევა ხდება; კომისია მოითხოვს აგრეთვე შეიქნეს საერთაშორისო კომიტეტი, რომელიც ცხოვრებაში გაატარებს საზავო კონფერენციის პრინციპებს.

**ჟორესის მკვლელის გამართლება.**

ჟორესის მკვლელის გამართლება (გერმანული სოციალისტური პრესა ქებას ასხამდა ჟორესს) აშკარად მოწმობს, თუ რის ჩადენა შეუძლია ამ ჟამად საფრანგეთს, და როგორც გერმანიის დემოკრატიამ, ისე გერმანიის სოციალისტურ პრესამ კარგად იცის, თუ რა სამართლიანი გადაწყვეტილებას მიიღებენ ამ ჟამად პარიზში.

**ტყვე გერმანელები.**

რადიო ბერლინიდან ნიუიორკში ამერიკის წითელ ჯვარს: „პირობის ძალით საფრანგეთი მოვალეა სასწრაფოდ აუწყოს გერმანიას ტყვედ ჩავარდნილ გერმანელთა გვარი და სახელები და საშუალება მისცეს სამხედრო ტყვეებს წერილი გაუგზავნონ მშობლებს და მიწერ მოწერა იქონიონ მათთან. ამ ვალდებულებას საფრანგეთი არ ასრულებს. ჯერ კიდევ სექტემბერში ტყვეთ ჩაიგდეს 100,000-მდე გერმანელი ახალგაზრდა და ჯერაც არ გამოუქვეყნებიათ მათი გვარი და სახელი. ტყვეების მშობლებს აქამდე არავითარი წერილობითი უწყება არ მოსვლიათ. სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების დამცველი სახალხო კავშირი დაბეჯითებით სთხოვს წითელ ჯვარს, რომელმაც ომის დროს დიდი დახმარება და შემწეობა აღმოუჩინა ტყვეების მშობლებს, რომ მან გავლენა იქონიოს საფრანგეთზე და შეასრულებინოს მას ზემოხსენებული ვალდებულებანი.

**მეფე ალბერტი საზავო კონფერენციაზე**

მეფე ალბერტის ჰაეროპლანით მოულოდნელმა მოსვლამ რომანტიული ხასიათი მისცა საზავო კონფერენციას, რომელსაც პროზაული ხასიათი ქონდა აქამდე. ბრიუსელიდან გამოფრინდა დილით და დაეშვა ბურჟეს ჰაეროდრომზე, რომელიც პარიზს გაცილებულია 1 მილით. იქიდან ავტომობილით ჩავიდა ვერსალში და დაბინავდა სასტუმროში. მას შეეგება ბელგიის საზავო დელეგაცია, რომელიც, როგორც სჩანს, ელოდა მას. წინასწარ არ შეუტყობინებიათ მისი ჩამოსვლა. [illegible]

და ვილსონის პირობებზე [illegible] სჩანს, ახლოა ის დრო, როცა გადასწყვეტენ ზარალის ანაზღაურების და გერმანიასთან ახალ საზღვრების საკითხს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ საერთო ჯამის მაგიერ, რომელიც უნდა გადაიხადოს გერმანიამ, ვიდრე ხალხთა ლიგის სწორუფლებიანი წევრი შეიქმნებოდეს. საბჭო გამოაცხადებს რომელი ზარალი უნდა აანაზღაუროს გერმანიამ. შემდეგ რამდენი უნდა იხადოს გერმანიამ წლიურათ. ზემო მოყვანილი გადაწყვეტილება საშუალებას აძლევს მოკავშირეებს იმედი არ გაუცრუონ მოქალაქეებს და დაანახონ, თუ რა ცოტა უნდა გადაახდევინონ გერმანიას, გერმანიის საზღვარი, როგორც ეტყობა უკვე შემუშავებულია. გერმანიას ეკრძალება იქონიოს სიმაგრეები, ყაზარმები და რკინის გზები 50 მილის მანძილზე რეინის აღმოსავლეთით, რომელიც ამნაირათ საფარი იქნება საფრანგეთისთვის, თუ გერმანია კიდევ დაესხა მას ხმელეთით; ჰაეროპლანების თავდასხმაზე ლაპარაკიც კი მეტია. საარის ველის საკითხი, როგორც სჩანს, საფრანგეთის სასარგებლოთ გადასწყდა. საჭიროა ამ ადგილში ქვა ნახშირის დამუშავება, რადგან ჩრდილო საფრანგეთში ყველა მაღაროები დანგრეულია.

ეს სამრეწველო რაიონი დროებით შეადგენს ცალკე პოლიტიკურ ერთეულს შემდეგ კი მის მცხოვრებლებს საშუალება მიეცემათ, თავისუფალ ხმის მიცემით გამოსთქვან თავისი აზრი, რაც შეეხება გერმანიის შესაძლებლობას ზარალის ანაზღაურებაში, კონგრესმა გადასწყვიტა მოუსმინოს გერმანიის ფინანსიურ ექსპერტებს, რომელნიც 17-ში უნდა ჩამოვიდნენ შატოში, კომპიენთან. ოფიციალური ცნობები ჯერ არ არის. როგორც სჩამს, ყველა სცდილობს, რაც შეიძლება მალე შეიკრას ზავი გერმანიასთან.

**გერმანიის ქალაქების საბჭოთა ყრილობა.**

კვირას ბერლინში გაიხსნა გერმანიის ქალაქის საბჭოების ყრილობა. ყრილობას ოთხასი დელეგატი დაესწრო გერმანიის ყველა კუთხიდან. თავმჯდომარემ გახსნა კრება და თავის სიტყვაში მოითხოვა ბლოკადის შეწყვეტა მთელი. გერმანიის მიწა განსაკუთრებით კი ტიროლი საავის ოლქი დანციგი და დასავლეთი პრუსია გერმანიის ნაწილათ უნდა დარჩეს. გერმანიის ნაწილათ უნდა დარჩეს რეინიც. ქალაქთა საბჭოს მიზნების შესახებ ითქვა, რომ მოქალაქეებმა უნდა იბრძოლონ შეერთებულათ ერთი რომელიმე კლასის დიქტატურის წინააღმდეგ. ჩვენ მიჩვეული ვართ მუშებთან ერთად მხარდამხარ ვიბრძოლოთ ყველა კლასების უფლებისთვის მაგრამ ისინი ოპოზიციაში ჩაგვიდგენ მოითხოვენ ცალმხრივ დიქტატურას და ძალით გვახვევენ თავიანთ ნება სურვილს. თავმჯდომარე კრიტიკას უკეთებდა მთავრობის პლანს სოციალიზაციის საქმეში ამ პლანის შესახებ. მათ უნდა ეთხოვათ რჩევა რადგან საბჭოები ვერ მოითმენენ, რომ ბურჟუაზიული პარტიები გერმანიის მოქალაქეთა კანონიერ წარმომადგენლებათ ითვლებოდენ. მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ მოთხოვნილებას. თუ კონსტიტუცია კანონიერათ აღიარეს მუშათა საბჭოები მაშინ ბურჟუაზია იმავე უფლებებს მოითხოვს. ამის შემდეგ დასავლეთ პრუსიის პოზნანის დასავლეთ გერმანიის და შლეზვიგ-გოლშტენიის წარმომადგენლებმა წაიკითხეს მოხსენებები საზღვრების საკითხის შესახებ. მიღებული რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს გერმანიის ტერიტორიის ძალით დაპყრობის გამო. რა სახითაც არ უნდა მოხდეს იგი და აცხადებს, რომ თუ გერმანიას ხსინიბული ოლ- [illegible]

## სომხეთში

[illegible]

---

ვკარგავ, უძლური ვხდები, როს მიფარვის იგი ან მიმქრალდება გონების თვალთ წინ, ეტყოდა აშოტ ფიქრთა არეში სატრფოს იდუმალს.

მაგრამ ფიქრი ველარ აკმაყოფილებდა ეხლა ვაჟკაცს, მხოლოდ ოცნებაში ხილვა სანდომ სახისა. ეს მალე იგრძნო მეფემ, მწვავედ განიცადა, როდესაც მეორედ ნახა შუქური და დაშორდა. ძლიერ მოჰსურდა ხშირად ენახა შუქური, მისი აჩრდილი კი არა უნივთო, თითონ ის სინამდვილეში. მისთვის იყო, რომ უბრძანა არტანუჯში მსწრაფლ აეგოთ სახლი პაატასათვის და მოეწყოთ ოჯახის საცხოვრებელად.

— სიცოცხლე მიძღვნა თავის სიცოცხლის ღირეულობით და დიდ მმართებს ზრუნვა იმაზე. კიდეც აღუთქვი, მისას რომ ვიყავ. გამართე იგი, დააბინავე ქალაქში, რომ შესაძლო შეიქმნას მისი უკეთ წამლობა. ჩქარობს ექიმი: ვერა სწვდება სიშორის გამო და ეშინიან.

— შენი მადლიანი მეხსიერება ვერ დაივიწყებს პაატას. არ ივიწყებს იგი სხვა თავდადებრლებსაც. წყალობა უხვად ეფინება მათ ყველას. პაატას ბედი სწორედ რომ ბეწვზედა ჰკიდია. ავადმყოფობა შეუფერხებლივ ჰფქვავს ვაჟკაცს და სასწაულით მოქმედი ექ- [illegible]

სი სიამე, ჩაეხედნა მის ლმობიერ თვალთა სიღრმეში, გაეგონა მისი ხმა ხმა ლბილი; კვლავ და კვლავ განეცადა ის უსამზღვრო თაყვანისცემა, რომელს ფიანდაზედა ჰფენავდა ქალი მის ფერხთ ქვეშ და დამტკბარიყო ამ უანგარო შესაწირავით.

— და მერმე, მცირე ხნის შემდეგ, განმარტოვება შენი შუქური პატრონ მოშლილი! ეტყობა მას ცბიერი ჰაზრი,

თუმცა ვერ კადრულობდა სისრულით აექარგა მის წინ სურვილთ ხატებანი, ვნებათა განსაღებანი. ჯერ ვერ ჰბედავდა!

და თვით შუქური, თუნდაც რომ მარტო, თავისუფალი, განა მიჰხვდება ვაჟკაცის ტანჯვას, გაიგებს გულუბრყვილო მის სურვილთ ძალას?

— რა იცის საწყალმა, როგორ ძვირფასია ის ჩემთვის. ვეროდეს მიჰხვდება სპეტაკი სული მისი, რომ ვემონები მე მეფე იმას! ჩემი სურვილები მარად თავს ევლებიან მას, დასტრფიან ლამაზს. მზე არის იგი ჩემის გულისა...

— როგორ წარმოიდგენს ან რით შეიგნეას, რომ არ ხარ ბედნიერი, მოგნატრებია ის სიამე, რომლით სტკბება მრავალი შენი ქვეშევრდომი?!

— ვერ შეიგნებს, ვერ წარმოიდგენს, რომ ჩემი პალატებიდან გადივ- [illegible]

ვასილ ბარნოვი.

(გაგრძელება იქნება).

**სომხეთის სიმდიდრის გამოსარკვევად**

„აშხატავორის“-ს ცნობით ქ. კისლოვოდსკაში შემდგარა საზოგადოება რომელსაც დაუარსებია ორგანიზაცია სომხეთის ბუნებრივ სიმდიდრის გამოსარკვევად. ამ საქმის ინიციატივა თავს იდვეს ცნობილმა სომხებთა კაპიტალისტებმე მაილოვმა, შათიროვმა და ამ მიზნისთვის სპეციალურად ამ დღეებში სომხეთში მიემგზავრება სპეციალი კომისსია რომლის შემადგენილობაშიაც შედის პოეტი ოვანესიანიც.

**დახმარება სომხებს**

გაზ. „აშხატავორი“ გადმოგვცემს რომ სოჭის ოლქის ნაციონალურ საბჭოს გადაუწყვეტია ადგილობრივ სომეხ გლეხკაცობაში შეაგროვოს 5000 ფუთი სიმინდი და სრულიად უსასყიდლოდ გაგზავნოს დამშეულ სომხეთში დასათესად. სურსათის შეგროვება კარგად მიდის და იმედია სულ ახლო მომავალში საკმაო სიმინდი გაიგზავნება სომხეთში დასათესად, რაც მომავალ წლისთვის სომხეთისთვის სურსათის კრიზის შეასუსტებს.

**დიპლომატიური წარმომადგენელი**

სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად ყუბანის მთავრობასთან ეკატერინოდარში მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოველი წევრი ო. სალატელიანი დაინიშნა. ბატ. სალატელიანი უკვე ეკატერინოდარში იმყოფება.

## ხევსურების გაჭირვება

პირიქით ხევსურეთის მცხოვრებთა დელეგაცია წარუდგა ადმინისტრაციის ინსპექტორს ბ. შ. ნ. მაღლაკელიძეს ვრცელი მოხსენებით. ხევსურებმა მოახსენეს ბ. მაღლაკელიძეს, რომ დიდი ხანია ისინი ჰლამობდნენ მასთან ჩამოსვლას, მაგრამ პირიქით ხევსურეთი თავის მკაცრ ბუნებით ისეა მოწყვეტილი ჩვენ რესპუბლიკას, რომ მარტო ეხლა, როცა თოვლი ჩამოდნა მათ მიეცათ საშუალება მოსვლისა. ხევსურთ აუწერეს ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც ისინი არიან ჩაცვივნულნი. უგზოობის გარდა, ისინი საშინელ საგონებელში არიან ჩაცვივნულნი ქისტების და გროზნის ოლქის ლეკებისაგან, რომელნიც მშვენივრად შეიარაღებულნი უკანასკნელ სისტემის იარაღით, თავს ესხმიან მათ და იტაცებენ მათ სარჩო საბადებელს და საქონელს. ვინაიდან ხევსურებს იარაღი არა აქვთ, ვერ უმკლავდებიან ამ თავ-დამსხმელებს, რომელნიც მხოლოდ ამ ხელობას მისდევენ, დასასრულ თვის თხოვნისა პირიქით ხევსურეთის დელეგატებმა სთხოვეს ბ. მაღლაკელიძეს მიეცათ მათთვის იარაღი ამ ყაჩაღთა წინააღმდეგ საბრძოლველათ და თავის დასაცავათ. ბ. მაღლაკელიძემ გულდასმით მოუსმინა მათ თხოვნას და სწრაფი განკარგულება მოახდინა, რომ მათ მისცემოდათ საჭირო იარაღი და პატრონები. ხევსურებმა უკვე მიიღეს იარაღი და მადლობაც გადაუხადეს ბ. მაღლაკელიძეს.

## მუნიციპალური ცხოვრება

**სადეზინფექციო კამერაში გაფიცვის მოხსნა**

ქალაქის სადეზინფექციო კამერის მოსამსახურეებმა გაფიცვა მოხსნეს და მუშაობას შეუდგნენ.

**გაფიცვის საქმე საავათმყოფოებში**

დაიწყო ავათმყოფების მიღება ქალაქის სამკურნალოებში, მხოლოდ ქალაქის საავათმყოფოებში კი გაფიცვა არ გათავებულა. საავათმყოფოებში იღებენ მარტო უპატრონო და ლტოლვილ ადამიანებს. ქალაქის სამკურნალოებთან დაწესებულ აფთიაქების მოსამსახურენი ჯერ კიდევ გაფიცულნი არიან და ამიტომ ექიმების ბარათებით უფასოთ წამლების მიღება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

**ქალაქის ფარმაცევტების მოთხოვნილება**

თბილისის აფთიაქებში მოსამსახურეთა კავშირმა ქალაქის გამგეობას მოთხოვნილება წარუდგინა, რათა ქალაქის ფარმაცევტებს, პროვიზორებს და აფთიაქში მომუშავეთა ჯამაგირები მოუმატონ. 100 პროც.

**თევზეულობის გაიაფების საკითხი**

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ამ დღეებში მოიწვევს სხვა და სხვა დაწესებულებების წარმომადგენელებს სათათბიროთ თევზეულობის გაიაფების შესახებ.

**წყალსადენის საქმე და წყლის ფასის საკითხი**

ქალაქის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე ქალაქის მოურავის ბ. ბენია ჩხიკვიშვილის თავმჯდომარეობით გამგეობის წევრმა ი. ი. ბესელიძემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა ქალაქის წყალსადენის შესახებ. ამ მოხსენებიდან სჩანს, რომ გასულ წელს საექსპლოატაციო ხარჯი წყალსადენისა აღზრდილია 7,895,280 მან. და 900,000 მან. არა ჰყოფნია შემოსავალს ამ ხარჯის დასაფარავად. მუშათა ხელის და საჭირო მასალის, ნამეტნავად ნავთის სიძვირის გამო, ეს ხარჯი სულ მატულობს. ამ მიმდინარე აპრილის პირველ თარიღიდან ნავთს კიდევ 83 კაპ. ფუთზე ფასი მოუმატეს და წყალსადენის სადგურს ავჭალაში ყოველ დღე კი 650 ფუთი ნავთი სჭირდება. ამის გამო გამგეობა იძულებულია წყალზე ფასი მოუმატოს. წინად ქალაქი ხუთ ვედრა წყალს ერთ კაპეიკად ჰყიდდა და ხარჯების დახურვის შემდეგ მოგებაც რჩებოდა. ეხლა კი, როდესაც ქალაქის საბჭომ ეს ფასი ორჯერ გაადიდა წყალსადენი დეფიციტით მუშაობს, მაშასადამე ეს მომატებაც საკმარისათ არ გამოჩნდა და წყალზე ფასი კიდევ გადიდდეს. თუ ქალაქის საბჭო დაადასტურეს, ვედრო წყალი 3 კაპ. გაყიდვას, მაშინ ზემო მოყვანილი დეფიციტი შემცირობება 215,780 მანეთამდე. თუ წყალი ვედრო 4 კაპ. გაიყიდება და საექსპლოატაციო ხარჯები არ იმატებს, მაშინ ქალაქს 880,000 დარჩება და და თუ ფასათ 5 კაპ. დანიშნავს ვედროზე, იმავე პირობებში, მაშინ წყალსადენი ხარჯის დახურვის ზევით 3,005,720 მან. შემოსავალს მისცემს. ქალაქის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში, რომ შარშანდელი პირობები ჯერ ეხლაც აღარ არის და ყველაფერს ფასი ემატება, როგორც მოსამსახურეების ჯამაგირს, აგრეთვე ნავთს და სხვ. და მომავალშიც ჯერ კიდევ უნდა ველოდეთ ფასების მომატებას, ამის გამო დაადგინა: იშუამდგომლოს ქალაქის საბჭოს წინაშე წყლის ფასის გადიდების შესახებ ვედრო 5 კაპეიკამდე. ეს მოხსენება სასწრაფო წესით წარდგენილ იქნება საბჭოსადმი მომავალ მის კრებაზე.

**იურის-კონსულტის მიერ თანამდებობის დატოვება.**

ქალაქის იურისტკონსულტი ა. ს. ჩიმიშკიანი, მის თხოვნის თანახმათ, ქალაქის გამგეობის მიერ განთავისუფლებულ იქმნა ამ თანამდებობიდან და სამსახურიდანაც, ბ-ნი ა. ჩიმიშკიანი მიწვეულია ერევანში სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ამხანაგად.

**ჯარისკაცთა კავშირის შუამდგომლობა.**

დაჭრილ და დასახიჩრებულ ჯარის კაცთა კავშირის გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას მის წევრებს მიეცეს უპირველესი უფლება ქალაქის საავათმყოფოებში უფასოთ მკურნალებისა და უფასოთვე წამლების მიღებისა ქალაქის აფთიაქიდან.

**გაფიცვის გამო.**

ქალაქის გამგეობის იმ მოსამსახურეთა კავშირმა, რომელნიც გაფიცვაში მონაწილეობას არ იღებდენ და სამსახურს თავი არ დაანებეს მიმართა ქალაქის გამგეობას თხოვნით, რათა მან უფლება არ მისცეს ყოფილ მოსამსახურეთა კავშირის ბიუროს ქალაქის კასიდან კავშირის თანხის და გამგეობის ბინიდგან კავშირის ნივთეულობის გატანისა აღმასრულებელ კომიტეტის უნებადართოთ.

**სამსახურში უკანვე მიღების შესახებ.**

გუშინ, 3 აპრილს, გათავდა ვადა ქალაქის გამგეობისადმი თხოვნის მირთმევისა სამსახურში მიღების შესახებ. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა შემოსული თხოვნები განიხილოს და სამსახურში მისაღებათ არ იქონიოს მხედველობაში მთხოვნელთა ეროვნობა და ეხლავე ნაციონალიზაციის განხორციელება. თავისუფლათ უნდა მიღებულ იქმნენ ის პირნი, რომელნიც სათანადოთ მომზადებულია მუშაობისათვის, მიუხედავათ იმისა, თუ მან სრულიად არ იცის ქართული ენა.

**საავათმყოფოების დათვალიერება.**

ქალაქის მოურავმა 2 აპრილს დაათვალიერა ქალაქის საავადმყოფოები, რომლებშიაც, მიუხედავათ მისა, რომ ქსენების ბევრი წილი მოსამსახურენი გაფიცული არიან, სუფევს სათანადო წესი და სისუფთავე. ავადმყოფებისა და მოსამსახურებისათვის დამზადებული საჭმელი გემრიელი და კარგათ მომზადებული აღმოჩნდა.

**წყლის მოწოდების საკითხი.**

წყლის სიმცირისა და ზაბის უქონლობის გამო ქალაქის წყალსადენი სადგურში (ავჭალაში) იძულებული არიან დრო გამოშვებით მანქანები გააჩერონ გასასუფთავებლათ, რისა გამოც ქალაქის წყლის მოწოდება შევიწროვებულია. ამის გამო ქალაქის ზოგ უბნებში, ნამეტნავათ მაღლობების, და განაპირა უბნებში, მილები წყალს ვერ აწვდიდენ, რათა ამ უბნებსაც საშუალება მიეცეს ყოველ დღე წყლის მიწოდებისა, ქალაქის გამგეობამ გუშინდლიდან დააწესა უბნებში რიგით წყლის მიწოდება ექვს ექვსი საათით.

**საკლავზე ნიხრის გადიდება.**

ქალაქის სასაკლაოს საექსპლოატაციო ხარჯი სიძვირისა გამო თანდათან ემატება და მისი შემოსავალი ვეღარ ხურავს ხარჯს. ამ ერთი წლის განმავლობაში საექსპლოატაციო ხარჯმა 955 მან. იმატა 2,493,336 მანეთამდე. ამ ხარჯის დასაფარავად ქალაქის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საბჭოს ნებართვა დასაკლავი გადასახადის მომატებაზე. გამგეობა ადგენს თითო კამეჩის დაკვლაზე გადაახდევინოს 18 მან., თითო ხარზე ანუ ძროხაზე—9 მან., ღორზე 6 მან. 50 კ. და ცხვარზე 3 მან.

**ყინულზე ფასის მომატება.**

ქალაქის სასაკლაოს საყინულეს ქარხანაში მომზადებულ ყინულს ქალაქის გამგეობამ ფასი მოუმატა 2 მანეთიდან 8 მანეთამდე ფუთი.

**ქალაქის ელექტრონული სადგური.**

საქალაქო ელექტრონული სადგური, რომელიც წელიწადზე მეტია რაც არ მუშაობს, მანქანების გაფუჭების გამო, ორი კვირის შემდეგ მუშაობას განაახლებს. ჯერ შეკეთებულია, ერთი მანქანა, მეორე მანქანას შეაკეთებენ ორი თვის განმავლობაში და ისიც დაიწყებს მუშაობას. მესამე მანქანის შეკეთების იმედი კი ამ წლის განმავლობაში არა აქვთ.

## სასოფლო მეურნეობა

**მევენახეობის და მეღვინეობის ყოფილი კომიტეტი**

მიწად-მოქმედების სასოფლო-სამეურნეო ნაწილმა დაადგინა ეხლავე გადარიცხულ იქმნენ სამსახურში ყოფილ მევენახეობის და მეღვინეობის საგუბერნიო კომიტეტის ინსტრუქტორები და აგენტები თავის შესაფერ კრედიტებით და აგრეთვე გადაეცეს მასვე ალაიანის, კონდოლის და ჩუმლაყის ამერიკულ ვაზის სანერგეები. საქარის სანერგე კი დარჩეს მიწათმოქმედების განკარგულებაში. კაპიტალი და ინვენტარი საგუბერნიო კომიტეტებისა უნდა გადაეცეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს მეღვინეობის მიმდევ რაიონის ერობებს შორის გასანაწილებლად.

**ფასი ჩაიზე**

ამავე ნაწილზე მოისმინა მოხსენება ოზურგეთის საცდელ მინდვრის გამგისა ფასების დანიშვნის შესახებ ჩაიზე და დაადგინა მოწონებულ იქმნას წარმოდგენილი გამგის მიერ ფასები 5 მან. გირვანქაზე. მწვანე ჩაის ფოთლის შესაძენად კი გირვანქაზე დაინიშნოს 3—5 მ.

**აბრეშუმის თესლის შეძენა.**

თანახმად მიწად-მოქმედების მინისტრის შუამდგომლობისა და ერობათა კავშირის შუამდგომლობისა, ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის უფროსმა მ. ი. ქუთათელაძემ შეიძინა საკმაო რიცხვი შემოწმებულ აბრეშუმის თესლისა სხვა და სხვა ფირმებისაგან. აბრეშუმის თესლი ერობათა და კოოპერატივების საშუალებით განაწილებული იქნება საქართველოს სააბრეშუმო რაიონის მცხოვრებთა შორის შეღავათიან პირობებში. დაწვრილებით ცნობებისათვის უნდა მიმართონ ქუთაისში სააბრეშუმო სადგურის გამგეს ბ. ი. გ. ქუთათელაძეს.

**ქუთაისის მინდორი**

მიწ.-მოქმედების სასოფლო სამეურნეო ნაწილმა დაადგინა გაზაფხულის სამუშაოების დაწყების გამო ჭირნახულის შეგროვებამდე ქუთაისის საცდელი მინდორი დატოვებულ იქმნეს ს. ყულაშში იმ პირობით, რომ ამასთან ერთად მან აწარმოოს მუშაობა აჯამეთშიაც, არჩეულ იქმნენ კომისია, რომელშიაც უნდა შევიდნენ მიწადმოქმედების სასოფლო სამეურნეო სექციის წარმომადგენელი ნიადაგის მცოდნე კალინინი, ამ მინდვრის გამგე ბ. ჯაფარიძე ქუთაისის სამაზრო ერობის და ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის წარმომადგენელნი. ამ კომისიამ უნდა გამოჰყოს მიწის ნაჭრები, მოძრავ ქონების და სამეურნეო შენობის შესაძენათ საჩვენებელ მინდვრის და სკოლის საჭიროებისათვის.

**წინანდლის ღვინო**

ამავე ნაწილმა თანახმად საგანგებო კომისიის მოხსენებისა, დანიშნა ფასები წინანდლის სახელმწიფო ეროვნულ მამულების ღვინოზე ვედრაზე ალაგობრივ 125 მანეთი და თბილისში 135 მან. უჭურჭლოდ.

**შაბიამანი და გოგირდი აზერბაიჯანიდან**

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ბ-ნ ნ. ქარცივაძეს მიწადმოქმედების მინისტრმა ბ. ხომერიკმა მიმართა თხოვნით, რომ მან წინადადება მისცეს აზერბაიჯანის მთავრობას, გამოუშვას შაბიამანი, გოგირდი და ვერმორელის აპარატები, რომელიც საქართველოს რესპუბლიკას ეკუთვნის, რის ნაცვლადაც საქართველოს რესპუბლიკიდან აზერბაიჯანში გატარებულ იქმნება აბრეშუმის თესლი.

**აბრეშუმის თესლის გაშვება**

მიწად-მოქმედების მინისტრმა ბ-მა ხომერიკმა მიანდო ქუთაისის სააბრეშუმო სადგურის გამგეს ბ. ი. ქუთათელაძეს აზერბაიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს საქართველოს რესპუბლიკაში ბ. ჯაფაროვთან მოლაპარაკება გამართოს, თუ რა პირობებში უნდა იქმნეს გატანილი აბრეშუმის თესლი საქართველოს რესპუბლიკიდან აზერბაიჯანში.

## ახტალის კურორტი

მიწად-მოქმედების მინისტრმა ხომერიკმა მთავრობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა სიღნაღის მაზრაში ს. გურჯაანთან ახტალის ტალახიან წყლებზე საგანგებო კურორტის დაარსების შესახებ მიმდინარე საზაფხულო სეზონიდანვე ბ. მინისტრის მოხსენებით სიიაფისა და იმ საჭიროების გამო, რომელიც ითხოვს ამ კურორტის 1 1 თიბათვიდანვე გახსნას განზრახულია აგება დროებითი ფარდულებისა სადა სისტემით, ხის მასალისაგან, ერთი ტალახიან წყლის სამკურნალოსი, 1 ფარგალი მძიმე ავათმყოფთათვის 3 ფარდული საცხოვრებელ ბინებისა, 1 ფარდული სამკურნალო და ადმინისტრატიულ პერსონალისათვის და 4 ღია საზაფხულო საბანაოსი. ღირებულება მთელი ამ შენობებისა ხის მასალის ფულის 225000 მანეთს, სამუშაო ხელფასი კი 175000 მან. სულ კი 400000 მან. მაგრამ თუ მხედველობაში მიიღება ის გარემოება, რომ ტყის მასალა მუქთათ იქნება დათმობილი სამინისტროს მიერ, მაშინ ხარჯები დასჭირდება მხოლოდ 175000 მანეთი. შემოსავალი ნავარაუდევია 124700 მან. ხოლო ხარჯი 74700 მან. ამგვარათ წმინდა მოგება მოსალოდნელია 50000 დასასრულ მინისტრი ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ დამფუძნებელ კრების მოხსენებამდე სამუშაოები დღესვე უნდა იქმნეს დაწყებული, სთხოვს მთავრობას ათ მილიონიან ფონდიდან 100000 მანეთი გადასდოს სამუშაოს დაწყებისათვის.

## კორესპონდენცია

### წერილი კავკავიდან

კავკავი უბედური ქალაქია. დღეს იგი სისხლიან ჩვენებას წარმოადგენს. ქალაქი ტირანების ხელშია. ბოლო ხანებში გარემოება არ შეცვლილა. ბოლშევიკები „დეკრეტებს“ ჰსცემდნენ, ყაზახები „პრიკაზებს“ გაჩნდა შავი სახადი და ქალაქი თითქმის გაანახევრა. ამ შემაზარ სენის მსხვერპლი ქართველობაც გახდა და თვალსაჩინო წევრები აქაურ საზოგადოებისა წუთისოფელს გამოასალმა.

სიძვირემ ყველაფერს ცეცხლი მოუკიდა. უბრალო ხალხი სულ დაატყავეს. უფრო ქართველობა დაზარალდა. ასეთ გარემოებამ აიძულა ქართველობა, არ შეჰშინებოდა ყინვას და სამშობლოში გამოქცეულიყო.

ყაზახებს გამოცდილი ადმინისტრატორები სულ არ ჰყავთ. როსტოვის მხრიდან ცუდი ამბები მოსდით, ბოლშევიკები ძალას ატანენ. ახლა ჩაჩნები ააჯანყეს თავისი რუსულ საქციელით და ომიც გამოუცხადეს. ჩვენც ახალ ბატონების მოლოდინში ვართ. ადგილობრივი ქართული სკოლაც—ხან ლაზარეთათ აქციეს და ხან რად. ახლა შიგ სწავლაც ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც პატრონი არა ჰყავდა ოდნავ მაინც შეეკეთოს და დეზინფექცია გაუკეთოს. ჩვენს შუამდგომლობაზე სკოლის დეზინფექციის შესახებ ხეპრად გვიპასუხეს—„ეგ შენობა ბოლშევიკებს ეჭირათ და თქვენც ბოლშევიკებს მიჰმართეთ თხოვნითაო“!

ყოველ დღე ახალი შიში გვაქვს ყოველდღე ახალი ბატონი მოდის და რით გათავდება ამ უბედო ქალაქის ბედი ჩვენ თვითონ არ უწყით!

გ. ნ—ძე.

## მსახიობთა სიკვდილი

(კინოს ცხოვრებიდან).

რუსეთი ისევ ანარქიის ცეცხლში იწვის.

დღითი-დღე რთულდება პროცესი ვეებერთელა სახელმწიფოს სხეულის დანაწილებისა. თანამედროვე სახე რუსეთის ხალხის ცხოვრებისა მეტად სისხლიანია.

უსურსათობა და შიმშილობა.

ფაბრიკა-ქარხნებში მუშაობის შეჩერება და მის შემდეგად ათასნაირი უბედურობა.

იხოცება ხალხი და განსაკუთრებით ინტელიგენცია.

ასეთ ცხოვრების სიბრმემ საშინელი გავლენა იქონია ხელოვნებაზედ და მის მსახურთა ყოფაზედაც.

ჩემს წინ დევს ახლა რუსული ჟურნალი „ხელოვნება“.

სიამოვნებით ვჭშლი პირველ გვერდს. აქ სურათია მსახიობ ქალი—ვერა ხოლოდნაიასი.

მაგონდება რუსული თეატრი და განსაკუთრებით მდიდარი კინემატოგრაფები, აჭრელებული აფიშები წარწერით „მონაწილეობს ვერა ხოლოდნაია“,

სიამოვნებით კითხულობს გამვლელ გამოვლელი ამ გვარს.

სავსეა ხალხით კინო.

სიყვარულით უმზერს ყველა ვერას მხატვრულ შესრულებას ეკრანზე.

მშვენიერია ვერა განსაკუთრებული პლასტიკის სიარულით და ცეცხლოვან თვალთა გადმოხედვით.

ვერა ხოლოდნაიას არ იცნობს რუსული თეატრის დრამატიული სცენა.

ვერა ხოლოდნაიას იცნობენ ხანჟონკოვის და ერმოლიევის მდიდარი ატელიე და ვილლები.

ჩვენ გვახსოვს ვერას მსახიობური ძალის სიმდიდრე სურათებში: „ცხოვრება ცხოვრებისთვის“, „ბუხართან“ „დაივიწყე ბუხარზე“ და სხვ. ჩვენ ვიცით, რომ ვერა ხოლოდნაიამ კინოს მოძულეთ კინო შეაყვარა.

ვერა ხოლოდნაია ეკრანზე განსაკუთრებული ძალაა.

და უცებ ჯვარი მის [illegible] ვერა აღარ არის. გარ[illegible] ის შეეწირა რუსეთში სიბინძურის გამო შექმნილ ავადმყოფობამ.

ვაგლახ! ჩვენ სრულებით გვესმის რუსული მდიდარი ფილმების წრფელი გლოვა და წარმოდგენილი გვაქვს რუსული ეკრანის სიმკრთალე და სიღარიბე მომავალში. მაგრამ ეს პირველია. ვფურცლავ ჟურნალს. კიდევ ახალი ამბავი.

„ვ. პოლონსკი შავი სახადით გარდაიცვალა“. პოლონსკი—სიმდიდრე რუსულ ეკრანისა.

პოლონსკი—მუდმივი კავალერი ვერა ხოლოდნაიასი.

მართალია, პოლონსკი სუსტი იყო სცენაზე, მაგრამ ის ძლიერი და მიმზიდველი იყო ეკრანზე. მასში დიდი იყო ის განსაკუთრებული ძალა შემოქმედებისა, რომელსაც ითხოვს ეკრანი. პოლონსკის მრავალი პატივისმცემელნი ყავდა და ყავს, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. სუსტი იყო როსტოვის უნივერსიტეტის ახალგაზრდობის ოვაციები, გამართული ცნობილი მსახიობი კაჩალოვის სცენაზე გამოსვლის დროს იმ ოვაციებთან, რომელიც პოლონსკის გაუმართეს.

მრავალი სურათები დატოვა პოლონსკიმ თავის მონაწილეობით.

ახალს აწ ვეღარ ვნახავთ, მაგრამ პოლონსკი ძველ სურათებშიაც ჩვენთვის მუდამ ახალი და ცოცხალი იქნება.

სამგლოვიარო ქრონიკაში კიდევ ერთი ცნობაა: „ი. მოზჟუხინმა თავი მოიკლა“. მიზეზი არავინ იცის.

ძნელია ასეთი ამბავის მოსმენა. ძნელია იმის დაჯერება რომ ი. მოზჟუხინის სერიოზულ შესრულებას ახალ სურათებში ვეღარ ვნახავთ.

ი. მოზჟუხინი ეკრანზე მსახიობი—მასწავლებელი იყო.

ი. მოზჟუხინის დრამატიული ძალა მეტად მდიდარი იყო.

სამი ზვიადი სახე მოისპო. და დღეს—სამივეს სურათების ქვეშ დასმულია შავი ჯვარი!

მ. ღვამიჩავა.

## მატარებლების მიმოსვლა

11 თებერვლი ძან.

**მატარებლები თბილისიდან ფოთში:**

მ. № 1 სასწრაფო საღ. 7 საათ. 30 წ.
ხაშურიდან — ღამ. 10 ს. 52 წ.
შორაპნიდან — ღამ. 1 ს. 34 წ.
სამტრედიიდან—ღამ. 3 ს. 50 წ.
ფოთში — დილის 5 ს. 50 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 20 მ.

მ. № 3 საფოსტო დილის 10 ს. 30 წ.
ხაშურიდან —დილის 3 ს. 08 წ.
შორაპნიდან—საღამოს 6 ს.
სამტრედიიდან—საღ. 8 ს. 34 წ.
ფოთში — ღამის 10 ს. 43 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 10 მ.

მ. № 9 **სამგზავრო ქუთაისამდე.**
საღამოს 10 საათ. 30 წ.
ქუთაისში მივა დილ. 7 ს. 21 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 19 **სამგზავრო ბორჯომამდე.**
დღის 3 საათზე 30 წ.
გორიდან —საღამოს 6 ს. 30 წ.
ბორჯომში მივა საღ. 9 ს. 27 წ.
პლაცკარტის ფასი ყველა ვაგონში 5 მ.

მ. № 4 **საფოსტო ბაქომდე.**
ღამის 1 საათზე 10 წ.

მ. № 8 **სამგზავრო განჯამდე:**
დღის 3 საათზე 35 წ.

მ. № 6 სასწრაფო საღ.—9 ს. ბაქომდე.
პლაცკარტის ფასი ბაქომდე 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მ., 3 კლ. 20 მ.

**ყარსისკენ—ერევანში**

მ. № 4 საფოსტო —დღის 1 ს. 40 წ.

**თბილისში მომავალი მატარებლები.**

**ფოთიდან—თბილისში.**

მ. № 2 სასწრაფო—დილ. 9 ს. 41 წ.
ფოთიდან გამოვა საღ. 11 ს.

მ. № 4 საფოსტო საღ. 8 ს. ფოთიდან გამოვა დილის 7 საათ. 40 წ.

მ. 12 **ქუთაისიდან:**
დილის 8 ს. 15 წ. ქუთაისიდან გამოვა საღ. 10 საათ. 33 წ.

მ. № 20 **ბორჯომიდან**
დილის 7 ს. 20 წ. ბორჯომიდან გამოვა ღამ. 12 ს. 46 წ.

**ბ ა ქ ო დ ა ნ**

მ. № 3 საფოსტო დღის 4 ს. 30 წ.
მ. № 5 სასწრაფო დილის 7 ს.
მ. № 7 სამგ. განჯიდან დილ. 8 ს. 30 წ.
მ. № 5 პლაცკარტიანია; პლაცკარტის ფასი 1 კლ. 60 მ., 2 კლ. 40 მან., 3 კლ. 20 მ.

**ნახიჩევანიდან და ყარსიდან**

მ. № 3 საფოსტო—დილ. 11 ს. 30 წ.
ამათ გარდა კვირა უქმე დღეებში.

**თბილისსა და მცხეთის შუა**

იქნება შემდეგი მატარებ. მიმოსვლა.

მ. № 61 **თბილისიდან**
დილის 7 ს. 37 წ.
მ. № 63 დღის 3 ს.

**მცხეთიდან მოდის**

მ. № 62 დილის 11 ს. 10 წ.
მ. № 64 საღამოს 7 ს. 20 წ.


მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 24—1 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის

**ალექსანდრე დავითის ძის ბეგლარიანი**

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მედიცინის ექიმი

**ე. ა. მონსე**

ნერვიული, შინაგანი და საბავშო სნეულებანი. მკურნალობა ელექტრონით, სიმსუქნის მკურნალობა ბერგონიეს აპარატით, სალსრების მკურნალობა ლინდემანის აპარატით; ფსიხოტერაპია, ჰიპნოზი. მიღება 10 ნახ. ს. დღ. საღამოს 6—7 ს. ყოველდღე, კვირის და ხუთშაბათის საღამოს გარდა. მიხეილის პროსპ. № 111. ტელეფონი 13—42.

50—2119—31


სტამბა კავშირისა, [illegible] № 4.